ПРОЛЕТАРЕБО ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠ�გᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 78 (19819) ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ, 3 ᲐᲞᲠᲘᲚᲘ, 1987 ᲬᲔᲚᲘ. ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐ�პ.

ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲡ ᲨᲔᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲨᲠᲝᲛᲐ ᲣᲮᲓᲔᲑᲐ!

ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘ ᲑᲣᲜᲔᲑᲘᲡ გამოღვიძების დროა. გაზაფხულზე არა მარტო ბუნება იცვლება, არამედ თვით ადამიანის გუნება-განწყობაც. ეს განსაკუთრებით სოფლად იგრძნობა ხოლმე; ბუნებასთან ნელ-ნაყარი მშრომელი ბუნების გამოღვიძებისთანავე აქტიურად იწყებს შრომას, რათა თავისი ხელი დაატყოს მიწას, რათა მისგან მიიღოს იმის მაქსიმუმი, რის მოცემაც მას შეუძლია.

წელს დასავლეთ საქართველოს მთასა და ბარში ბუნების მრისხანება ყოველგვარ საზღვარს გასცდა. დიდთოვლობამ, ნაადრევმა დათბობამ ზვავები და მეწყერი დაატეხა თავს მშრომელ კაცს; მდინარეები ადიდდნენ, კალაპოტიდან გადმოვიდნენ და წყალმა წალეკა მინდვრები, პლანტაციები, მეცხოველეობის ფერმები. ასმილიონობით მანეთი იზარალა საქართველოს სახალხო მეურნეობამ, განსაკუთრებით კი სოფლის მეურნეობამ.

გაზაფხულის ამ დღეებში, სოფლად არა მარტო სტიქიით მიყენებული ჭრილობები უნდა მოვიშუშოთ, არამედ ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა საგაზაფხულო სამუშაოები არსად არ ჩამოგვრჩეს, მიწა დავამუშაოთ, დასათესი დავთესოთ, ფერმები წესრიგში მოვიყვანოთ, მთასა და ბარში ყველგან ყველაფერი თავის დროზე და სანიმუშოდ გავაკეთოთ.

სწორედ ახლა, ამ გაზაფხულიდანვე გვმართებს შრომა, გარჯა, ოფლის ღვრა, თუ გვინდა, რომ შევქმნათ პროდუქტების სიუხვე, ბარაქა, სიმდიდრე. გაზაფხულის ერთი დღე მთელ წელიწადს კვებავს როცა ფამბრთ, კარგი, გულისხმიერი, გამრჯე კაცის ერთი დღის ნამუსიან ნაშრომს ვგულისხმობთ. და დღეს ჩვენს მთასა და ბარს ნამუსიანი, საგულდაგულო, ყოველდღიური შრომა სჭირდება, რათა ჩაის ბუჩქი, ბალ-ვენახი, მინდორი თუ პირუტყვი შოუველი არ დარჩეს.

ჩაის პლანტაციების დამუშავებას ურიგო პირი არ უჩანს, დიდ ფართობზეა შეტანილი სასუქები, მწკრივთაშორისები კი დაბარულია. მთავრდება ბუჩქების სხვლა და ფორმირება, მაგრამ ზოგან ამ სამუშაოებში ჩამორჩენაა, რაც, ავდრის მიუხედავად, არასასურველია.

ქართლის ბალების, კახეთის ვენახების დამუშავებაც ერთი შეხედვით აგროვადებში და ნესტების დაცვით მიმდინარეობს, მაგრამ არის სოფლები, სადაც საგაზაფხულო სამუშაოები ნელი ტემპით მიმდინარეობს, ზოგან კი უხეირო ნამუშევარსაც შეეხვდებით. სწორედ სასოფლო რაიონების პარტიული და აგროსამრეწველო გაერთიანების ხელმძღვანელთა უპირველესი საზრუნავი ის უნდა იყოს, რომ ყველგან, ყველა სოფელში საუკეთესო შრომის შედეგებს აღწევდნენ. გურჯაანის რაიონში საკენაზე სამუშაოები წარმატებით მიმდინარეობს, მაგრამ შაშიანსა და ზოგ სხვა სოფელში შეფერხებებია. ასევე ითქმის გორსა და სხვა რაიონების მეხილეებზე.

აღმოსავლეთ საქართველოში, უწინარესად კი კახეთის რეგიონში, საგაზაფხულო სამუშაოები ძირითადად თესვას გულისხმობს. ეს შეიძლება სწორიც იყოს, რადგან საკენაზე სამუშაოები გაზაფხულის პირველი თვის ბოლოსათვის თითქმის მომთავრებულია, თესვა კი მაისის დასლევს მთავრდება. ნიოლეწყაროს რაიონის პარტიული და სამეურნეო ორგანოების შეთანხმებული, პარტნიორული მუშაობის შედეგად საგაზაფხულო სამუშაოები წარმატებით მიმდინარეობს. ᲛᲐᲠᲘᲜᲘᲡ თესვა დამთავრდა, ᲬᲔᲡᲔᲑᲘᲡ დაცვით მიმდინარეობს ბალახის თესვა. სწორედ თესავენ მზესუმზირას, მალე დაიწყება სიმინდის თესვა. წელს სულ საგაზაფხულოდ 18.000 ჰექტარზე მეტი დათესავს. სიღნაღის რაიონის აგრომრეწვის მუშაკები კი ამთავითვე იჭერენ თავდარიგს რწყვისათვის. „იორწყალშენის“ ტრასტის (მმართველი — ზ. ხოსროშვილი) კოლექტივმა წელს ორ თვეში ნაცვლად 316 ათასი მანეთისა 332 ათასი მანეთის სამუშაოები შეასრულა, გარდა ამისა საზოგადოებრივ მეურნეობებში, მცხეთის რაიონის ნიღვლის ექსპერიმენტული მეურნეობის მაგალითით სიმინდის მოსაყვანად იქმნება სპეციალური იჯარული ბრიგადები და უნდა ვივარაუდოთ, რომ სიღნაღელები თავთავიანებთან ერთად წელს სიმინდის უხვ მოსავალსაც მოიწევენ.

მარცვლეულის დიდი რეზერვია სიმინდი. ამიტომ წლეულს სასოფლო რაიონების პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებმა ამთავითვე დიდი ყურადღება უნდა დაუთმონ ამ კულტურას, ყველაფერი უნდა იღონონ, რათა სარწყავსა და ურწყავებე უხვი მოსავალი მოიწიონ. სიუხვისათვის საბრძოლველად ფართოდ უნდა გავრცელონ სიმინდის მოვლა-მოყვანის ისეთი მეთოდი, როგორიც ბრიგადული იჯარაა. ამასთან იჯარულ ბრიგადებს ხელი უნდა გაუმართონ საზოგადოებრივი მეურნეობების, აგროსამრეწველო გაერთიანებების ხელმძღვანელებმა, სპეციალისტებმა; მათ დროულად უნდა მოამარაგონ იჯარული ბრიგადები თესლით, სასუქებით, ტექნიკით და სხვა.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებმა, სპეციალისტებმა, პირველადმა პარტიულმა, კომკავშრომულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა დღენიადაგ უნდა იზრუნონ იმისათვის, რომ გაზაფხულის ყოველ დღეს მინდვრად, პლანტაციებსა და ბაღ-ვენახებში, ფერმებში რაც შეიძლება მეტი მშრომელი მოანწიონდეს კოლექტიურ შრომაში, მათ ყოველმხრივ შეუწყონ ხელი იმაში, რომ ყველამ ნაყოფიერად იმუშაოს. ამასთან არ უნდა დაივიწყონ, რომ ყოველგვარი საგაზაფხულო სამუშაო აგროწესების ზუსტად დაცვით, დროულად უნდა შესრულდეს. უამისოდ უუჭი შრომა გამოგვივა, და მიწა უხეირო საქმის მკეთებლებს არ აპატიებს.

საგაზაფხულო სამუშაოთა დაჩქარებაზე როცა ვლაპარაკობთ, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს საშემოდგომო ნათესების, მრავალწლოვანი კულტურების მოვლა-პატრონობა. საშემოდგომო ნათესების მოვლას გაზაფხულზე დიდი მნიშვნელობა აქვს უხვი მოსავლის მისაღებად. საშემოდგომო თავთავიანი კულტურების ნასუქებით გამოკვება, სარეველებისა დაავადებათა საწინააღმდეგოდ შხამ-ქიმიკატებით დამუშავება აგროწესებით დადგენილ ვადებში სრულყოფილად უნდა მოხდეს. ეს მხედველობიდან არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამორჩეთ ბრიგადირებს, აგრონომებს, მეურნეობათა ხელმძღვანელებს. რაიონულმა აგროსამრეწველო გაერთიანებათა ხელმძღვანელებმა და სპეციალისტებმა მკაცრი კონტროლი უნდა დააწესონ, რათა საგაზაფხულო სამუშაოები, საშემოდგომო ნათესების მოვლა-პატრონობა აგროწესების ზუსტად დაცვით შესრულდეს. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, მემანდერეებისათვის ანბანური ჭეშმარიტებაა, მაგრამ ამას იმიტომაც მოვაგონებთ, რომ ყოველი სამუშაოს თავის დროზე და მაღალხარისხოვნად შესრულება უხვი მოსავლის საწინდარია.

შემართული, დიდნაყოფიერი შრომით ყოველი მტკაცული მიწა გაზაფხულის ამ დღეებიდანვე ნაკაფნოთ სიუხვის სამსახურში! — ასეთია ახლა სასოფლო რაიონების პარტიული და სამეურნეო ორგანოების, საზოგადოებრივი მეურნეობების ყველა მშრომელის საპატიო ვალი.

ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲓᲠᲝᲨᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲝᲡᲐᲜᲘ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲐᲢᲝᲠᲘ, ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ ᲘᲜᲓᲘᲙᲝ ᲛᲔᲡᲢᲕᲘᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲒᲣᲠᲯᲐᲐᲜᲘᲡ რაიონის ველისციხის ერთწლიანი სატრაქტორო კურსების დამთავრების შემდეგ ინდიკო მესტვირიშვილი მშობლიურ სოფელს — კურდღელაურს (თელავის რაიონი) დაუბრუნდა და მალე კოლმეურნეობის მოწინავე მექანიზატორთა რიგებში ჩადგა. მის შემდეგ 38 წელი გავიდა. როგორც კოლმეურნეობის მთავარმა აგრონომმა გ. კობიაშვილმა გვითხრა, თავის საქმეზე შეყვარებული ადამიანი ყოველი ახლის, პროგრესულის ინიციატორია. მან პირველმა ჩამოაყალიბა კოლმეურნეობაში მექანიზატორთა უგანრიგო ბრიგადა.

ახლა კურდღელაურის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობაში წარმატებით მიმიდინარეობს საგაზაფხულო სამუშაოები. სასილოსე სიმინდის დასათესავად ი. მესტვირიშვილი ყოველდღიურად 4 ჰექტარს ხნავს საგეგმო 2 ჰექტარის ნაცვლად.

Ვ. ᲒᲔᲜᲒᲘᲣᲠᲘᲡ ფოტო.

1986 ᲬᲚᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲓᲐᲚᲘᲝᲜᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ და საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილეს საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986 წლის სახელმწიფო გეგმის წარმატებით შესრულებისათვის გაწეული რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შედეგები.

ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ რესპუბლიკის მშრომელებმა, რომლებიც ახორციელებენ XXXII XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებს, 1986 წელს გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმებისა და ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებების შესრულებაში.

მეთორმეტე ხუთწლედის პირველ წელს რესპუბლიკაში ხორციელდებოდა მუშაობა დაჩქარებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის, მეურნეობრიობის სტილისა და მეთოდების გარდაქმნისათვის, მეურნეობრიობის, თვითდაფინანსებისა და თვითანაზღაურების ახალ სისტემაზე საწარმოების, გაერთიანებებისა და დარგების გადაყვანისათვის, სახელმწიფო მიღების დანერგვისათვის. შესრულებულია სამრეწველო პროდუქციის ზეგეგმითი გამოშვებისა და რეალიზაციის სოციალისტური ვალდებულებანი, იმატა წარმოების ეფექტიანობამ. სოფლის მეურნეობაში შესრულდა ჩაის კრეფის საგეგმო დავალებანი, დიდი გადაჯარებით არის რეალიზებული ციტრუსების, ბოსტნეულისა და სხვა პროდუქციის დამზადების დავალებანი და სოციალისტური ვალდებულებანი.

საქართველოს მშრომელებმა, რომლებმაც ერთსულოვნად მოიწონეს პარტიის შტაკეი კურსი, რომლის მიზანია საზოგადოების ნამდვილად რევოლუციური გარდაქმნა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დასაჩქარებლად და ხალხის კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად, ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება მეთორმეტე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვის — „მეთორმეტე ხუთწლედს — საბჭოთა ხალხის შთაგონებული შემოქმედებითი შრომა“ — პასუხად მრეწველობის, აგროსამრეწველო კომპლექსის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების ბევრ შრომითს კოლექტივში შეჯიბრება სულ უფრო მეტად ისახავს მიზნად უზრუნველყოს პროდუქციის კარგი ხარისხი, ნედლეულის, მასალებისა და სათბობ-ენერგეტიკული რესურსების მომჭირნედ ხარჯვა, დისციპლინისა და წესრიგის განმტკიცება, სოციალური სფეროს დაჩქარებული განვითარების დავალებათა წარმატებით შესრულება.

ამავე დროს ავტონომიურმა რესპუბლიკებმა და ავტონომიურმა ოლქმა, ქალაქებმა, რაიონებმა, გაერთიანებებმა, საწარმოებისა და ორგანიზაციების მნიშვნელოვანმა ნაწილმა სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციაში არსებული ნაკლოვანებებს, წარმოების ინტენსიფიკაციისათვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულებისათვის მუშაობის ნელა გარდაქმნის გამო ვერ შეძლეს მაქსიმალურად გამოეყენებინათ მატერიალური რესურსები და მეურნეობრიობის ახალი სისტემის ხელშემწყობი შესაძლებლობანი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმების წარმატებით განაღდებისათვის, ვერ შეასრულეს წლის სახელმწიფო დავალებანი და სოციალისტური ვალდებულებანი ცალკეული უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლების მიხედვით.

შრომითი კოლექტივების მიერ გადასაწყვეტი კონკრეტული ეკონომიკური და სოციალური ამოცანებისაგან სოციალისტური შეჯიბრების მოწყვეტის შედეგად სახალხო მეურნეობის ცალკეულ დარგებში შრომითი შეჯიბრება ნელა თავისუფლდება ფორმალიზმისაგან, სუსტად ახდენს გავლენას წარმოების საბოლოო შედეგებზე, დისციპლინისა და სახელმწიფო წესრიგის განმტკიცებაზე.

რესპუბლიკის მრეწველობამ მთლიანად ვერ შეასრულა სახელშეკრულებო ვალდებულებებით პროდუქციის მიწოდების წლიური გეგმა, შრომის ნაყოფიერების ზრდისა და სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების, მზესუმზირას და ყურძნის სახელმწიფო შესყიდვის, ყველა კატეგორიის მეურნეობებში სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის წარმოების, სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე უმნიშვნელოვანესი სიმძლავრეებისა და ობიექტების ამოქმედების, კავშირგაბმულობის პროდუქციის მოცულობის, საცალო საქონლბრუნვის სოციალისტური ვალდებულებანი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ და საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986 წლის სახელმწიფო გეგმების წარმატებით შესრულებისათვის გაწეული რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში მიღწეული წარმატებებისათვის გამარჯვებულად ცნეს და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშებით, დიპლომებითა და ფულადი პრემიებით დაჯილდოვების რაიონები:

— **ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ**
— **ᲛᲪᲮᲔᲗᲘᲡ**

ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲘᲡ

— **ᲣᲬᲒᲐᲜᲗᲐ**

ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲘᲡ

— **ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲝᲕᲘᲡ**

ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲘᲡ

— **ᲒᲝᲠᲘᲡ**

ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲘᲡ

— **ᲚᲐᲒᲝᲓᲔᲮᲘᲡ**

ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲘᲡ

— **ᲚᲐᲠᲡᲘᲡ**

ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲘᲡ

— **ᲛᲐᲠᲢᲕᲘᲚᲘᲡ**

ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲘᲡ

— **ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ**

ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲘᲡ

— **ᲤᲝᲗᲝᲑᲘᲡ**

ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲘᲡ

— **ᲪᲐᲠᲪᲘᲡ**

ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲘᲡ

— **ᲬᲐᲠᲬᲧᲐᲠᲝᲡ**

ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲘᲡ

— **ᲩᲮᲝᲠᲝᲪᲧᲣᲡ**

1986 წელს ცალკეულ უმნიშვნელოვანეს სახეობათა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებასა და დამზადების 1986 წლის გეგმების წარმატებით შესრულებისათვის შეჯიბრების გამარჯვებულებად ცნეს და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშებით, დიპლომებითა და ფულადი პრემიებით დაჯილდოვდნენ:

ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ:

ᲡᲐᲯᲘᲚᲓᲝ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐᲨᲘ

— ᲓᲛᲐᲜᲘᲡᲘ

ᲛᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲒᲔᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲚᲔᲑᲭᲝᲤᲝᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ

— ᲬᲘᲗᲔᲚᲬᲧᲐᲠᲝᲡ
— ᲒᲐᲠᲓᲐᲑᲜᲘᲡ

ᲙᲐᲠᲢᲝᲤᲝᲚᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲒᲔᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐᲨᲘ

— ᲛᲐᲠᲜᲔᲣᲚᲘᲡ

ᲑᲝᲡᲢᲜᲔᲣᲚᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲒᲔᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐᲨᲘ

— ᲥᲐᲠᲗᲚᲘᲡ

ᲩᲐᲘᲡ ᲤᲝᲗᲚᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲒᲔᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐᲨᲘ

— ᲩᲮᲝᲠᲝᲪᲧᲣᲡ

ᲪᲘᲢᲠᲣᲡᲚᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲒᲔᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐᲨᲘ

— ᲮᲔᲚᲕᲐᲩᲐᲣᲠᲘᲡ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲐᲚᲙᲙ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲓᲠᲝᲨᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲤᲣᲚᲐᲓᲘ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲕᲓᲜᲔᲜ:

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ ᲡᲐᲯᲘᲚᲓᲝ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲮᲐᲖᲘᲗ

— თბილისის სატყეო მეურნეობა;

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲮᲐᲖᲘᲗ

— საცდელ-საექსპერიმენტო საპროფესიო-ორთოპედიული ქარხანა, ქ. თბილისი;

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲮᲐᲖᲘᲗ

— „თბილისტანსაცმელვაჭრობის“ № 41 სპეციალიზებული მაღაზია, ქ. თბილისი;

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲒᲐᲑᲜᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲮᲐᲖᲘᲗ

— თბილისის ტელეგრაფი;

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ ᲮᲐᲨᲣᲜ ᲛᲐᲡᲐᲚᲗᲐ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲮᲐᲖᲘᲗ

— სადახლოს მარმარილო-ტუფის მაღაროთსამმართველო, მარნეულის რაიონი;

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲮᲐᲖᲘᲗ

— თბილისის № 161 საშუალო სკოლა;

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲮᲐᲖᲘᲗ

— თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი მანქანათმშენებლობის ტექნიკუმი;

— თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის ხალხთა მეგობრობის ორდენოსანი სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი;

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲮᲐᲖᲘᲗ

— თბილისის სისხლის გადასხმის საქალაქო სადგური;

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲮᲐᲖᲘᲗ

— თბილისის ფალიაშვილის სახელობის ლენინის ორდენოსანი ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი;

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ ᲞᲘᲠᲗᲐᲠᲘᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲮᲐᲖᲘᲗ

— თბილისის წისქვილქარხანა;

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲐᲒᲠᲝᲡᲐᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲮᲐᲖᲘᲗ

— აფხაზეთის ასსრ ოჩამჩირის რაიონის სოფელ ჭლოუს ლაკობას სახელობის კოლმეურნეობა;

— აჭარის ასსრ ქედის რაიონის სოფელ ცხმორისის კოლმეურნეობა;

— წითელწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობა;

— ჩოხატაურის რაიონის სოფელ ჩაისუბნის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობა;

— ზუგდიდის რაიონის სოფელ ნარაზენის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობა;

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲛᲔ-2 ᲒᲕ.)

ᲒᲕᲘᲡᲛᲝᲑᲡ ᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲐ

ᲓᲘᲓᲘ ᲣᲙᲣᲒᲔᲑᲘᲗ

ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს მძღოლებმა, შემკეთებელმა, მუშებმა და ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა გადაწყვიტეს ვ. ი. ლენინის დაბადების 117 წლისთავი აღნიშნონ დიდნაყოფიერი შრომით.

„ვიმუშაოთ შემოქმედებითად, ყოველნაირად გავზარდოთ შრომის ეფექტიანობა!“ — ასეთია თბილისის № 4 სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლთა სამეურნეოანგარიშიანი კომპლექსური ბრიგადის დევიზი, რომელსაც საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ე. ახალკაცი-შვილი მეთაურობს. ბრიგადამ პირველი კვარტლის გეგმა ვადაზე ათი დღით ადრე შეასრულა, ხოლო 18 აპრილისათვის გადაწყვიტა დავალების გადაჭარბებით გადახდოს რვა ათასი ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთი, ამასთან დაზოგოს 180 ლიტრი बेნზინი.

მოწინავე სამეურნეოანგარიშიანო კოლმეურნეობის მთავარმა აგრონომმა გ. კობიაშვილმა გვაცნობა, ᲗᲐᲕᲘᲡ საქმეზე შეყვარებული ადამიანი ყოველი ახლის, პროგრესულის ინიციატორია. მან პირველმა ჩამოაყალიბა კოლმეურნეობაში მექანიზატორთა უგანრიგო ბრიგადა.

ᲒᲕᲐᲢᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲔᲜ „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡᲐ“ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲘᲜᲝᲠᲒᲘᲡ ᲙᲝᲠᲔᲡ�პᲝᲜᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ

გამომუშავებულ. [illegible] რიცხავენ ხუთწლედის ფონდში.

ᲒᲖᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲔᲑᲘ ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲐᲜ

ᲐᲛᲑᲠᲝᲚᲐᲣᲠᲘ. კომუნისტური შრომის დღესასწაულისათვის აქტიურად ემზადებიან რაიონის სამრეწველო საწარმოები. მათ შორის არის მე-10 საგზაო სამშენებლო სამმართველოს მოწინავე შრომითი კოლექტივი. აქ შეიქმნა შაბათობის მომზყობი შტაბი. მისი წევრები ორგანიზატორულ მუშაობას ეწევიან სამმართველოს ყველა სამშენებლო უბნებში. უკვე დასახულია იმ სამუშაოთა მოცულობა, რომლებსაც შეასრულებენ კომუნისტური შრომის დღესასწაულის დღეს.

„წითელ შაბათობაში“ მონაწილეობას მიიღებს 240 კაცი. ისინი ამ დღეს შეასრულებენ 6 ათასი მანეთის გზის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებს. მშენებლთა ერთი 25-კაციანი ბრიგადა ალპანის გზის მონაკვეთზე ამოიყვანს ბეტონის საყრდენ ცეცელს. მეორე ასეთივე მშენებელთა ბრიგადა იმუშავებს ხოტევის მშენებარე საავტომობილო ხიდის ბურჯის ადგებაზე. გზის მშენებლები შაბათობის დღეს მუშაობას განაახლებენ ბახმაროს საავტომობილო გზის მონაკვეთზე. აქ ისინი ჩაწყობენ ბეტონის წყალგამტარ მილებს. სამუშაოთა დიდი ნაწილი დაზოგილი ნედლეულით და მასალებით შესრულდება.

შაბათობაზე გამომუშავებული თანხა 600 მანეთი მთლიანად გადაირიცხება ხუთწლედის ფონდში.

ᲛᲔᲒᲐᲓᲨᲠᲘᲗᲐ ᲡᲐᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲝ ᲕᲐᲮᲢᲘ

ᲤᲝᲗᲝᲑᲘᲡ თევსაკერი ტრაქტორის იმ ეკიპაჟის კოლექტივმა, რომელსაც კაპიტანი ი. გრიაზნეკო და მისი პირველი თანაშემწე ნ. სიპინავა ხელმძღვანელობენ, თევზის მოპოვების პირველი კვარტალის დავალება 137 პროცენტით შეასრულა.

ტრაქტორის ეკიპაჟი პირობას იძლევა, რომ დიდი ოქტომბრის 70 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრ ვალდებულებებს დათმენულ ვადაზე ადრე შეასრულებს და მხოლოდ საუკეთესო ხარისხის პროდუქციას გამოუშვებს.

ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲒᲕᲘᲠᲐᲑᲖᲐᲛᲣᲧᲕᲐᲜᲘ

**Ც

1986 წლის სოციალისტური შეჯიბრების მეწინავენი

(დასასრული)

— გურჯაანის რაიონის სოფელ არაშენდის კოლმეურნეობა;

— სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ლენინგორის რაიონის სოფელ დადიანეთის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობა;

— მახარაძის რაიონის ურეკის მეცხტრუსეობის საბჭოთა მეურნეობა;

— ბოლნისის რაიონის ბოლნისის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა;

— ჩხოროწყუს ჩაის მრეწველობის საწარმოო გაერთიანება;

— ლანჩხუთის საკონსერვო ქარხანა;

— მცხეთის მანქანა-ტრაქტორთა პარკის რემონტისა და ექსპლოატაციის. საწარმო;

საქართველოს სსრ გამომცემლობების, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ხაზით

— თბილისის წიგნის ფაბრიკა;

საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის ხაზით

— კინოსტუდია „ქართული ფილმი“, ქ. თბილისი;

საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის ხაზით

— ბათუმის №76 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი;

საქართველოს სსრ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტის ხაზით

— აჭარის პროდუქციის მიწოდების განყოფილება „აჭარმომარაგება“, ქ. ბათუმი;

ცეკავშირის სიხტემის ხაზით

— ყვარლის რაიკოოპკავშირი;

საქართველოს სსრ განათლების სახელმწიფო კომიტეტის ხაზით

—„ზუგდიდგაზი“, ქ. ზუგდიდი;

საქართველოს სსრ სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა მთავარი სამმართველოს

— **საქმთავარმონტაჟსპეცშენის ხაზით**

სპეციალიზებული სამმართველო „თბომშენი“, ქ. თბილისი;

საქართველოს სსრ ნავთობპროდუქტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტის ხაზით

— ბოლნისის ნავთობბაზა;

საქართველოს გეოლოგიის სამმართველოს ხაზით

— აღმოსავლეთ საქართველოს გეოლოგიურ-საძიებო ექსპედიცია, ქ. თბილისი;

საქართველოს საზღვაო ნავთობოს ხაზით

— თბილისავ „საბჭოთა საქართველოს ორმოცდაათი წლისთავის“;

ამიერკავკასიის რკინიგზის ხაზით

— ზესტაფონის სადგური;

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხაზით

— სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის მეტალურგიის ინსტიტუტი;

საკავშირო დაქვემდებარების საწარმოთა ხაზით

— მადნეულის სამთო-მამდიდრებელი კომბინატი;

— თბილისის გაზის აპარატურის ქარხანა;

— საქართველოს თევზეფრისა და თევზის მარაგის კვლევაწარმოების საწარმოო კომბინატი, ქ. თბილისი;

— ქობულეთის რაიონის ჯიხანჯრის ტუნგის საბჭოთა მეურნეობა;

— საწარმოო გაერთიანება „საქქვანაშშრის“ ე. ო. მინდელის სახელობის „აღმოსავლეთ-2“ შახტი, ქ. ტყიბული;

— საწარმოო გაერთიანება „თეთრონი“;

უმნიშვნელოვანეს სამეცნიერო-ტექნიკურ პრობლემათა გადაჭრის კომპლექსური პროგრამების წარმატებით შესრულებისათვის საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროებისა და სხვა ორგანიზაციების ხაზით (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სიხტემის გარეთ)

— სსრ კავშირის ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტროს მცირე სიმძლავრის ელექტრული მანქანების ტექნოლოგიის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი საპროექტო-საკონსტრუქტორო ინსტიტუტი, ქ. თბილისი;

— საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა სრულიად საკავშირო საწარმოო გაერთიანების ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, ქ. მახარაძე;

— სსრ კავშირის ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციის საშუალებებისა და მართვის სისტემების სამინისტროს სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ანალიზელსაწყოს“ ანალიზური ტექნიკის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, ქ. თბილისი;

— სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამინისტროს საქართველოს ენერგეტიკისა და ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, ქ. თბილისი;

— საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს საქართველოს სახელმწიფო სამეცნიერო-კვლევითი და საწარმოო-ტექნიკური კომპლექსური ინსტიტუტი, ქ. თბილისი;

— სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამინისტროს ს. ი. ჟუკის სახელობის ლენინის ორდენოსანი საკავშირო საპროექტო-საძიებო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თბილისის განყოფილება;

—სსრ კავშირის გეოლოგიის სამინისტროს კავკასიის ა. ა. თვალჭრელიძის სახელობის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტი;

— საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის ეკონომიკის, დაგეგმვისა და მართვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.

იმის გამო, რომ ავტონომიურმა რესპუბლიკებმა, ავტონომიურმა ოლქმა, ქალაქებმა, ქალაქების თბილისისა და ქუთაისის რაიონებმა, თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა, საქართველოს სსრ მშენებლობის, მსუბუქი მრეწველობის, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროების, საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს საწარმოებმა ვერ უზრუნველყვეს გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულება მთლიანად და მრავალი მაჩვენებლის მიხედვით, 1986 წლის შეჯიბრების გამარჯვების წოდება მათთვის არ მიენიჭებიათ. ეს წოდება არ მიენიჭათ მათ, კერძოდ, იმის გამო, რომ არ შეუსრულებიათ სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და მომსახურების სფეროს, ბინების, მთელი სოციალურ-კულტურული კომპლექსის ობიექტების მშენებლობის, ხილის წარმოებისა და დამზადების მაჩვენებლები.

საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, ფეხზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამინისტროებსა და უწყებებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს, პროფკავშირთა საბჭოებს, რესპუბლიკურ, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს დაევალათ ღონისძიებანი 1986 წლის რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შედეგები, დეტალურად გაეერკვნენ სოციალისტური შეჯიბრების ცალკეული მაჩვენებლების მიხედვით მისი პირობების შეუსრულებლობის მიზეზებში და განახორციელონ ამ მიზეზების აღმოფხვრის, აგრეთვე კონკრეტული ორგანიზაციურ-ტექნიკური პოლიტიკური ახსნა-განმარტებითი ღონისძიებანი, რათა გამოავლინონ და გამოიყენონ ეკონომიკური ზრდის დამატებითი რეზერვები, დარაზმონ შრომითი კოლექტივები და აამაღლონ მატერიალური რესურსები სოციალური და ეკონომიკური განვითარების 1987 წლის გეგმების წარმატებით შესრულებისათვის.

იმ მიზნით, რომ გადაჭრით აღმოიფხვრას ფორმალიზმი თითოეული შრომითი კოლექტივის მიერ სოციალური და ეკონომიკური განვითარების გეგმების უთუო შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციაში, განმტკიცდეს დისციპლინა და წესრიგი სოციალურ-ეკონომიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, მუშობა ისე უნდა წარიმართოს, რომ დაიხვეწოს პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების, სახალხო დეპუტატთა საბჭოების, სამეურნეო ორგანოების ორგანიზატორული და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი საქმიანობა ფორმები და მეთოდები, რათა უზრუნველყონ შრომითი კოლექტივების როლის გაძლიერება კომუნისტური იდეურობის, XXVII ყრილობის მიერ დასახული ამოცანების გადაწყვეტისათვის პირადი პასუხისმგებლობის სულისკვეთებით ადამიანთა აღზრდაში.

პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების, ყველა საზოგადოებრივი ორგანიზაციის უპირველესი მნიშვნელობის ამოცანა უნდა გახდეს სოციალური სამართლიანობის პრინციპების განუხრელი განხორციელება, თითოეული მშრომელის მორალური და მატერიალური სტიმულირების უზრუნველყოფა მის მიერ გაწეული შრომის რაოდენობისა და ხარისხის შესაბამისად.

რესპუბლიკური და ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთების რედაქციებს, რადიოსა და ტელევიზიას წინადადება მიეცათ სისტემატიურად გააშუქონ საკავშირო და რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობა, უფრო ოპერატიულად გამოეხმაურონ ყოველივე ახალსა და სასარგებლოს, რაც კი შრომითს კოლექტივებში იშვება, ფართო პროპაგანდა გაუწიონ მოწინავე გამოცდილებას, ხელი შეუწყონ მის საყოველთაო გავრცელებას, დაეხმარონ ჩამორჩენილ კოლექტივებს შეჯიბრების ორგანიზაციაში, არსებულ ნაკლოვანებათა გამოვლენასა და დაძლევაში.

* * *

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ და ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა მხურვალედ მიულოცეს რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულებს და გამოთქვეს მტკიცე რწმენა, რომ რესპუბლიკის მშრომელები მაქსიმალურად გამოიყენებენ არსებულ შესაძლებლობებს, რათა უთუოდ შეასრულონ 1987 წლისა და მთლიანად მეთორმეტე ხუთწლედის ამოცანები, ღირსეულად შეხვდნენ დიდი ოქტომბრის 70 წლისთავს, უზრუნველყოფენ თითოეულ კოლექტივში ჯეროვან დისციპლინასა და წესრიგს, ღირსეულ წვლილს შეიტანენ ჩვენი სამშობლოს ძლიერების განმტკიცებისათვის ბრძოლაში. (საქინფორმი).



გამოთვლითი ცენტრში

ამჟამად უდიდესი ყურადღება ეთმობა სახალხო მეურნეობის დარგების დაგეგმვისა და მართვის სისტემების ავტომატიზაციის შექმნისა და დანერგვის პრობლემებს.

საქართველოს სსრ სახაგრომრეწვში შეიქმნა მეთაური საინფორმაციო გამოთვლითი ცენტრი, რომელიც აგრომრეწვის მთელი უზარმაზარი სისტემის აღრიცხვის, დაგეგმვის, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ურთულეს სამუშაოს ასრულებს.

საამისოდ გამოთვლითი ცენტრი აღჭურვილია ელექტრონულ-გამოთვლითი მანქანებით, გამოთვლითი მინი-მანქანებით, „რობოტრონ-1720“, „ზოომეტრონ-38 5“ ტიპის და სხვა ელექტრონული ფაქტურული ავტომატებით.

საინფორმაციო-გამოთვლითი ცენტრი დიდად ეხმარება აგრომრეწვს მთელი საჭირო ოპერატიული ინფორმაციის დამუშავებაში, რომელსაც სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებით, დამზადებით და გადამუშავებით დასაქმებული საწარმოები და უწყებები უგზავნიან.

ს. კილაძე.

სურათებზე: ზემოთ — ინჟინერ-სისტემატიკოსი მარინე კვაჭაძე; მარჯვნივ — ოპერატორები ქ. გრიგოლია და მ. მეტონიანი ამოწმებენ ჩაწერილ ინფორმაციას; გამოთვლითი ცენტრის სამანქანო დარბაზი.

ავტორის ფოტო.

აგრომრეწვი: მიმდინარეობს გარდაქმნა

პაიკიძეზი საოჯახო ოჯარით მუშაობენ

შალვა პაიკიძემ — მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების კოლმეურნეობის კოლმეურნემ, ოქტომბრის რევოლუციის ორდენოსანმა — დაამთავრა ჩაის პლანტაციის უბანზე ნიადაგისა და კიტრუსის ხეების დამუშავება. წინა წლებში ასეთი სამუშაოები მხოლოდ იწყებოდა ამ დროს.

სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ შ. პაიკიძემ საჭირო სამუშაოები ოქტომბერულ აგროვადებში განახორციელა და უკვე ეს მოსავლის მატებას გვპირდება. შალვა პაიკიძეს შარშანდელი სამეურნეო წლის შედეგებითაც შეუძლია იამაყოს: თავის ოჯახთან ერთად მან კოლმეურნეობის ყუდაბში შეიტანა 45 ათასი მანეთი, რაც 8 ათასი მანეთით აღემატება კოლმეურნეობის გამგეობასთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულს.

— მე, ჩემი მეუღლე, ვაჟი და რძალი ოჯახური ოჯარით ვმუშაობთ — თქვა საქინფორმის კორესპონდენტთან საუბარში შალვა პაიკიძემ,—ორ ჰექტარ ჩაის პლანტაციას ვუვლით, საიდანაც შარშან სახელმწიფოს მივყიდეთ 36 ტონა ნარისხოვანი ჩაის ფოთოლი — საგეგმოზე 4 ტონით მეტი. კიტრუსის მოსავალიც ერთიერად მეტი იყო. ჰექტარზე 10 ტონა კიტრუსი მოვკრიფეთ, როგორც ხედავთ, ჩვენი შრომის მაჩვენებელი ურიგო არ არის, მაგრამ ეს ზღვარი რიდი, რადგან ბაღის ნაწილი დიდი ხანი არ არის რაც გავაშენეთ.

კიტრუსის ხეებს განსაკუთრებული მოვლა სჭირდება. მათზე ზეგავლენას ახდენს უამინდობა. საქმე ბაღში ბევრია როგორც ზამთარში, ასევე ზაფხულში. არ ვეღირებით, თუ როდის გვიკარნახებენ რა გავაკეთოთ, ყველაფერს თითონ ვსაზღვრავთ. ბოლოს და ბოლოს, სოფელში ვართ გაზრდილნი! ეცდილობთ დროულად შევუშალოთ ხეები, არ დავაგვიანოთ სხვა ოპერაციები. ჩაის ბუჩქიც არანაკლებ ჰირველია. ამ პლანტაციასაც მეურნის თვალი სჭირდება. სწორედ ამიტომ არის იგი მოსავლიანი.

— შალვა პაიკიძის ოჯახი, — თქვა კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარემ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, სოციალისტური შრომის გმირმა გივი წოლაძემ, — შარშან მეურნეობაში პირველი გადავიდა ოჯახური ოჯარის მეთოდით მუშაობაზე. რატომ მხოლოდ ერთი ოჯახი? იმიტომ რომ საჭიროდ მიგვიჩნდა მოგვესინჯა ეს მეთოდი ადგილობრივ პირობებში. ახლა ვხედავთ, რომ ეფექტიანია მეჩიეოებაშიც და მეციტრუსეობაშიც. წელს ამ მეთოდით კიდევ რამდენიმე ოჯახი იმუშავებს. ვნერგავთ მას აგრეთვე შეცხოველეობაში.

ᲠᲣᲘᲜᲘᲓᲐᲜ ქვახვრელისაკენ მიმავალთ გზად ამგვარი ფიქრები აგვეკვიატა: როგორ მიგვიღებს ქვახვრელი? რას ეტყვიან რუსელებს ქვახვრელელები?

ზუსტად ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც რუსელებმა მძიმე ტკივილი მიაყენეს ქვახვრელელებს: საკუთარ საკოლმეურნეო ზვარში ბანდიტური თავდასხმისას სიცოცხლეს გამოასალმეს ქვახვრელის კოლმეურნეობის თავმჯდომარე და მიწათმმფლობი.

ახლა კი, ახლა ჩვენ მათთან მივდივართ...

რა ძალას მივყავართ ქვახვრელში? რა მიზანი გვაქვს?

1985 წლის ოქტომბერში ქვახვრელში დატრიალებული ტრაგედია უკან დარჩა. ყველა საგანს თავისი სახელი ეწოდა. დრო გადის. ძაძებით დადიან. იასონ გაბინაშვილის და ზაჭარია ჯანეზაშვილის ქვრივები, იზრდებიან მათი პატარები. მათ, ისევე როგორც ყველას სოფელში, ახსოვთ, რომ ამ ტკივილის მიზეზი რუსელი ნაძირალები იყვნენ.

— წავიდეთ, ორი სოფელი საშვილიშვილოდ მტრად ხომ არ გადავეკიდებით ერთმანეთს. ერთმა და ორმა არაკაცმა როგორ უნდა შეარყიოს ჩვენი ზნე და წესი, — ასეთი იყო რუსელთა აზრი. აი, ამ გრძნობამ, ამ გადაწყვეტილებამ წაგვიყვანა ჯორის რაიონის სოფელ ქვახვრელში.

სოფელში შესასვლელი უცხო მანქანები უმალ შენიშნა მოსახლეობამ.

— ახლავე, ახლავე ბავშვს გამოგაყოლებთ, ის მიგიყვანთ კოლმეურნეობის გამგეობის შენობასთან, — ასე გამოხმაურა ჩვენ თხოვნას — მიესწავლებინა გამგეობის შენობის გზა — თემშარაზე მომავალი ქალი.

ბიჭუნა მანქანაში მოგვიკალათდა, გაიტრუნა.

— რა გვინა პატარავ? — ვეკითხებით.

— ზაქრო!

— რა გვარი ხარ?

— ჯანეზაშვილი.

— სკოლაში დადიხარ?

— მეორე კლასში ვარ.

— იცი, სად ჯრის კოლმეურნეობის კანტორა?

— როგორ არ ვიცი, იქ ძია იასონი მუშაობდა. ბიჭი ცოტა ხანს დაფიქრდა, მერე ცალი ფეხი მაღლა აწია და გვითხრა — აი ეს ფეხსაცმელები ძია იასონმა მიყიდა...

სიკეთის მთესველი კაცი დადიოდა ქვეყნად. თუ საჭირო იყო, საკუთარს გაიღებდა, ოღონდ მადლი ექნა, არაფერს იშურებდა. ასეთი კაცის სიცოცხლე ხელყვეს რუსელმა ნაძირალებმა. რუსი მწარედ განიცდის ამ ამბავს. ისინი ხომ პატიოსანი, გამრჯე ხალხია, პატივს სცემს და უფრთხილდება ამ უძველესი სოფლის სახელს, მის ავტორიტეტს. „მშობლიური სოფლის კარგი ტრადიციების გამრავლება თითოეულისა და ყველას ღირსების საქმეა!“ — ამ დევიზით მოეწყო აქ სოფლის მშრომელთა კრება. მასზე დიდი სჯა-ბაასი გაიმართა საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში სოფლის მოსახლეობის მონაწილეობაზე, მათი ცხოვრების წესზე, მუქთახორობის, უშრომელი შემოსავლის, ლოთობისა და ალკოჰოლიზმის, სოფლის მეურნეობის პროდუქტების უკანონოდ გაზიდვისა და სოფლის ცხოვრებაში სხვა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებაზე.

უშრომელი შემოსავლისადმი მიდრეკილებამ მიიყვანა დ. კაკაშვილი და ო. ღვინიაშვილი ძმიე დანაშაულამდე. იმ კრებაზე რუსელებმა პრინციპულ სჯა-ბაასში გამოკვეთეს თავიანთი პოზიცია — დანაშაულით არ დავინდობთო. მდგომარეობის ძირეული გაჯანსაღების მიზნით შემუშავდა კონკრეტული წინადადებები. აი, ერთი მთგანი: რუსელმა ახალგაზრდებმა სურვილი გამოთქვეს — რუსისმა და ქვახვრელმა ძმობის ხელი გაუწოდონ ერთმანეთს, შეეჯიბრნონ შრომაში, სიყვარულში, სიკეთეში. სანიმუშო ყოფითა და ქცევით დაიცვან სოფლის სახელი და ღირსება.

უფროსებმა სურვილი მოიწონეს. გადაწყდა: რუსის სამივე სკოლის უფროსი კლასების ბაზაზე შეიქმნას სასწავლო მეურნეობა და მას იასონ გაბინაშვილის სახელი ეწოდოს;

— მეურნეობაში ჩამოყალიბდეს ზაჭარია ჯანეზაშვილის სახელობის ახალგაზრდული ბრიგადა;

— რუსელებმა ქვახვრელის კოლმეურნეობის სასარგებლოდ დაამუშაონ ის ვენახები, სადაც ტრაგედია დატრიალდა, სისხლი დაიღვარა, გააშენონ მეგობრობის ხეივანი;

— მოაწყონ შეჯიბრება სპორტში, გაცვლითი კონცერტები ორივე სოფლის კულტურის კერების ძალებით.

ამ კარგ ჩანაფიქრს მხარი უუბა საქართველოს ტელევიზიამ, მერე კი რუსელები ქვახვრელს ესტუმრნენ...

სასოფლო კლუბში უამრავ ხალხს მოეყარა თავი, გაიმართა გულახდილი დიალოგი მაღალ იდეალებზე, ძმობაზე, მეგობრობაზე, ურთიერთგაგებაზე, სოფლის, სამშობლოს სიყვარულზე.

— აქა-იქ შემორჩენილი თითოოროლა. ავკაცი ჩვენი ცხოვრების წესს ვერ დაარღვევს! — ასეთი იყო საერთო გულისთქმა. ორმა სოფელმა ერთმანეთს გაუგო.

შეკრებილთა წინაშე გამოვიდნენ რუსის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ისიდორე გამგებელი, სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ზაურ ბალიაშვილი, მეურნეობის კომკავშირის კომიტეტის მდივანი გელა ბალიაშვილი, ქვახვრელის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე გივი მირუაშვილი, გორის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე შოთა ჯვარიძე.

ამაღელვებელი იყო იასონ გაბინაშვილის მეუღლის ზაზი გაბინაშვილის გამოსვლა შეკრებილთა წინაშე:

— სიტყვა „რუსელს“ მე, ალბათ, ვერასოდეს მშვიდად ვერ წარმოვთქვამ. მაგრამ ვერ შევაჯვრავ ჩემს შვილებს რუსელებს. იასონი სიკეთის მთესველი კაცი იყო და ჩემმა შვილებმაც სიკეთე უნდა თესონ.

ნუკრის თვალებით შემოგვაცქერიან იასონ გაბინაშვილისა და ზაქარია ჯანეზაშვილის პატარები. რუსელებმა მათ საჩუქრები — თოჯინები, სათამაშოები ჩამოუტანეს, მერე სასაფლაოზე წავედით. რუსელმა მოსწავლეებმა ყვავილებით შეამკეს იასონის და ზაქარიას საფლავები, წუთიერი დუმილით პატივი ვეცით დაღუპულთა ხსოვნას.

მერე იმ ზვარს ვესტუმრეთ, სადაც სისხლი დაიღვარა. მწკრივთაშორისებში რუსელებმა ბარი დაჭრეს... ასე ჩაეყარა საძირკველი მეგობრობის ხეივანს. გადაწყდა

— ამიერიდან რუსელები უსასყიდლოდ დაამუშავებენ და დაკრეფენ ამ ვენახებს, დაეხმარებიან ქვახვრელელებს ჩოველში.

საღამოს კოლმეურნეობის თავმჯდომარის კაბინეტში გაფორდა სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებანი. ასე რომ, რუსეთ-ქვახვრელის ძმობის ხიდი გაიდო. ეს გასულ შემოდგომას იყო. მას მერე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები სრულდება. რუსელები ქვახვრელელებს დაეხმარნენ ზვრების დამუშავებაში, ყურძნის კრეფაში, დაკრიფეს 30 ტონა ყურძენი. ქვახვრელის კოლმეურნეობას უსასყიდლოდ გადასცეს სათეესი აგრეგატი, შესაწამლავლთა შეზვედრა-დიალოგი რუსეთელიკის გამოჩენილ აგრონომებთან. აქ იყვნენ აკადემიკოსი გ. ორგი ჯიბლაძე, სპეციალისტები ქვეყნის სახალხო არტისტ ... ...

საბჭოთა კავშირი

ფაქტები • მოვლენები

ვეძიოთ პრობლემის გადაწყვეტის გზები

საზღვარგარეთის პრესა, ტელევიზია და რადიო განმარტავენ სსრ კავშირში დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის მ. ტეტჩერის ოფიციალურ ვიზიტს, და აღნიშნავენ, თუ რაოდენ საჭიროა საბჭოთა ხელმძღვანელებთან გულახდილი და კონსტრუქციული აზრთა გაზიარება, რაოდენ საჭიროა პოლიტიკური დიალოგი ურთიერთგაგების, განიარაღების პრობლემების გადაჭრის, მშვიდობის განმტკიცების გზების ძიებაში. ბირთვული დაშინების პოლიტიკა კი არა, გამალებული შეიარაღების შეწყვეტა, აღმოსავლეთსა და დასავლეთის თანამშრომლობის გაფართოება ყველა ხალხის უშიშროების საუკეთესო გარანტია.

საბჭოთა კავშირში დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის მ. ტეტჩერის ვიზიტი დროის მიხედვით დამთხვა უაღრესად პასუხსაგებ მომენტს, როცა დღის წესრიგშია ევროპაში საშუალო სიშორის რაკეტების ლიკვიდაციის პრობლემა, წერს ბულგარეთის გაზეთი „რაბოტნიჩესკო დელო“. ამ დარგში შეთანხმება ევროპის კონტინენტზე მოაშორებს ბირთვული ტვირთის მნიშვნელოვან ნაწილს. მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ამერიკის შეერთებული შტატების ნატოელი დასავლეთევროპელი მოკავშირენი ჯერ კიდევ ვერ სცილდებიან ძველი წარმოდგენების ფარგლებს. მოსკოვის მოლაპარაკებამ ცხადყო, რომ ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი კვლავ „ბირთვული შეკავების“ დროშას ეჭიდება. კონცეფციის მომხრეა. ახლა კი დადგა მომენტი, როცა მსოფლიოს ვითარებაზე შეხედულება უნდა ეფუძნებოდეს თანამედროვე პოლიტიკურ რეალობათა აღიარებას. გვინდა გვჯეროდეს, წერს ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო, რომ მ. ტეტჩერის ვიზიტი მოსკოვში ხელს შეუწყობს დასავლეთ ევროპის პოლიტიკური აზროვნების ევოლუციას ნდობასა და საერთაშორისო უშიშროების ყოვლისმომცველი სისტემის შექმნაზე გადასვლის მიმართულებით.

ის რომ უშიშროება შეიძლება აიგოს ძალის პოლიტიკაზე, მოძველებული წარმოდგენაა, აღნიშნავს ვიეტნამის „ნიან ზანი“. მან, როგორც სავსებით საფუძვლიანად აღნიშნა ხაზგასმით მ. ს. გორბაჩოვმა, უკვე გამოიწვია ორი მსოფლიო სასაკლაო, წარმოშვა „ცივი ომი“ და ახლანდელი უაღრესად სახიფათო სიტუაცია, მიიყვანა მსოფლიო უჭვრეტი შეიდგების ზღვრამდე. ჩვენს დროში განიარაღება, უწინარეს ყოვლისა, ბირთვული განიარაღება, კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნა ერთადერთი შესაძლო გზაა, რომლითაც კაცობრიობას შეუძლია კვლავ მოიბოვოს უკვდავება.

„ბერლინერ ცაიტუნგი“ (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) აღნიშნავს, რომ სსრ კავშირში ბრიტანეთის მთავრობის მეთაურის ვიზიტის დროს განსაზღვრა ორმხრივი თანამშრომლობის ძირითადი მიმართულებანი და მიღწეულია მორიგება ორმხრივი საქონელბრუნვის მოცულობის გადიდების, „ურთიერთხელსაყრელ საფუძველზე ეკონომიკური კავშირურთიერთობის შემდგომი გაფართოების პრაქტიკულ ღონისძიებათა განხორციელების შესახებ.

საბჭოთა კავშირ-ინგლისის მოლაპარაკებამ, უდავოდ საშუალება მისცა მხარეებს უკეთ გაეგოთ ერთმანეთის არგუმენტები, წერს საფრანგეთის „ლუმანიტე“. მაგრამ მ. ტეტჩერს არ გადაუხვევია ორაზროვანი პოზიციიდან, რომელსაც ადგას დასავლეთი კარდინალურ პრობლემებში. პრესკონფერენციაზე მან უაღრესად არადამაჯერებლად უპასუხა კითხვებს განიარაღებისა და სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის თაობაზე, რაც გამსაკუთრებით გამოიკვეთა საბჭოთა კავშირის ნათელი და ზუსტი პოზიციის ფონზე, ლოგიკასა და საღ აზრს რომ ემყარება. დასავლეთმა ახლა ინგლისში უნდა გაუწიოს საბჭოთა დიპლომატიის საჯაროობას, — წერს გაზეთი.

ნიგერიის გაზეთი „ჰერალდი“, რომელიც აღნიშნავს, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ბრიტანეთის თანამრობის მეთაურის ოფიციალურ ვიზიტს სსრ კავშირში, მაშინ როცა ბირთვული ომის საფრთხე დამოკლეს მახვილივით ემუქრება კაცობრიობას, და წერს: მ. ტეტჩერს უნდა ეჩვენებინა, რომ მოსკოვში ხელსარიელი არ ჩასულა და, კერძოდ, მკაფიო პასუხი გაეცა კითხვაზე, რატომ მიიჩნია ლონდონს რეიგანის სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის პროგრამა და რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ხელშეკრულების გაუქმების ცდები „კაცობრიობისთვის გონივრულ კურსად“. საბჭოთა კავშირი, წერს ურუგვაის გაზეთი „ორა“, ყველას გასაგებად აცხადებს, რომ მას სჭირდება მტკიცე მშვიდობა, რათა მთელი ძალ-ღონე მოახმაროს თავისი სოციალისტური საზოგადოების განვითარებას, გადაჭრას საბჭოთა ადამიანების ცხოვრების გაუჯობესების ამოცანები. საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიკური პოტენციალი, მისი პოლიტიკური ავტორიტეტი საყოველთაო მშვიდობასა და პროგრესს ემსახურება.

● იტალია

პრეზიდენტი გადადგომას არ დასთანხმდა

რომი. იტალიის პრეზიდენტი ფრანჩესკო კოსიგა არ დასთანხმდა სოციალისტ ბეტინო კრაქსის მთავრობის მთელი შემადგენლობის გადადგომას და შესთავაზა მას წარდგეს იტალიის პარლამენტის წინაშე ნდობის ვოტუმის მისაღებად.

ბ. კრაქსის კაბინეტმა გადადგომა ითხოვა ამა წლის 3 მარტს. საკონსტიტუციო ფორმულის თანახმად, მთავრობა თავისი მოვალეობის შესრულებას განაგრძობს ახალი კაბინეტის შექმნამდე. მაგრამ ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლის ჯულიო ანდრეოტის ყოველგვარი ცდა, შეექმნა ახალი მთავრობა, სრულიად უშედეგოდ დამთავრდა.

ამის შემდეგ იტალიის პარლამენტის დეპუტატთა პალატის თავმჯდომარემ, იტალიის კომპარტიის ხელმძღვანელობის წევრმა ლეონილდე იოტამ კონსულტაციები გამართა წამყვანი პოლიტიკური პარტიების ლიდერებთან, რათა გამოერკვია ახალი კაბინეტის შექმნის შესაძლებლობანი. მან მოლაპარაკების შედეგები აცნობა პრეზიდენტს და მხოლოდ ამის შემდეგ თქვა უარი დაეკმაყოფილებინა კრაქსის მთავრობის თხოვნა გადადგომის თაობაზე.

● ჩილე

რომის პაპის ვიზიტი

ბუენოს-აირესი. ჩილეს დედაქალაქში ჩავიდა რომის პაპი იოანე პავლე მეორე. ჩილეში ყოფნის დროს იგი ეწვევა ქვეყნის ზოგიერთ ქალაქს, შეხვდება რეჟიმის, აგრეთვე ანტიფაშისტური ოპოზიციის წარმომადგენლებს.

სანტიაგოდან მიღებული ცნობით, რომის კათოლიკური ეკლესიის მეთაურს ჩასვლამდე დიდი ხნით ადრე დედაქალაქში ჩაიყვანეს მსხვილი სამხედრო ქვეგანაყოფები, რათა არ დაეშვათ პინოჩეტის საწინააღმდეგო მანიფესტაციები. ჩილეში დიდი გამოხმაურება გამოიწვია რომის პაპის სიტყვებმა იმის თაობაზე, რომ ამ ქვეყნის ხელისუფლებას სათავეში უდგას დიქტატორული რეჟიმი, რომელიც ადრე თუ გვიან შეწყვეტს თავის არსებობას. „მე ეს მჯერა, ამას მოწმობს ლათინური ამერიკის გამოცდილება“, — თქვა იოანე პავლე მეორემ ჟურნალისტებთან ინტერვიუში, რომლებიც მას მოგზაურობაში ახლავან.

◆ ავღანეთი-პაკისტანი

უარყვეს განცხადება

ქაბული. ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა ბაქთარის სააგენტოს კორესპონდენტის კითხვაზე პასუხში უარყო პაკისტანის პრემიერ-მინისტრის ჯუნეჯოს განცხადება იმის თაობაზე, თითქოს ავღანეთის სამგზავრო თვითმფრინავს ან-26-ს, რომელიც 30 მარტს პაკისტანის სამხედროსაჰაერო ძალების ავიაგამანადგურებლების რაკეტებით ჩამოაგდეს, დაერღვიოს პაკისტანის საჰაერო სივრცე და შეეჭრილიყოს მის სიღრმეში 16 კილომეტრზე მანამ, სანამ პაკისტანის ავიაგამანადგურებლები მას რაკეტებს დაუშენდნენ.

ეს სპეციალისტ

მარცვალი კაფსულიდან იზრდება

სოფია. სოფიის თესლის წარმოების ინსტიტუტის სპეციალისტებმა ბულგარელ მიწათმოქმედებს წლეულს გადასცეს ორიგინალური მეთოდი, რომლის მეოხებითაც 10 პროცენტით იზრდება მარცვლის გადვივება, უზრუნველყოფს მცენარის სწრაფ განვითარებას. მისი არსი ის არის, რომ თითოეულ თესლს ფარავენ სპეციალური პოლიმერული საფარველით. წარმოშობილი კაფსულა მარცვალს იცავს მავნებლებისა და დაავადებებისაგან აღმოცენების სტადიაში, შემდგომში ფესვთა სისტემას უზრუნველყოფს ზრდის საჭირო სტიმულატორებით, პესტიციდებით, მიკრო და მაკროელემენტებით.

ამგვარი ტექნოლოგიები სხვა ქვეყნებშიც არის ცნობილი. მაგრამ ბულგარელმა სპეციალისტებმა შექმნეს მოწყობილობა ჩვეულებრივ ტემპერატურაზე პოლიმერული კაფსულების წარმოსაქმნელად, რის შედეგადაც საჭირო აღარ არის საშრობი დანადგარების მშენებლობა. გამოცდებმა ცხადყო, რომ ასეთი თესლი შეიძლება ნიადაგში დაითესოს დადგენილ ვადებზე 10-15 დღით ადრე, აღმონაცენი ხშირია, არსებითად იზრდება მარცვლოვანთა მოსავლიანობა.

მეცნიერება

მარსზე ექსპედიციის გეგმები

ვაშინგტონი. აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნული სამმართველოს (ნასა) სპეციალისტები განიხილავენ იმ ავტომატური კოსმოსური სადგურის შექმნის პროექტებს, რომელმაც უნდა მიაღწიოს მარსს, დაეშვას მის ზედაპირზე, აიღოს პლანეტის 5 კილოგრამამდე გრუნტის სინჯი და ჩამოიტანოს დედამიწაზე. მეცნიერები იმედოვნებენ, რომ მარსის გრუნტის სინჯის ანალიზი, ბოლოს და ბოლოს, პასუხს გასცემს კითხვას, არსებობდა თუ არა ოდესმე სიცოცხლე „წითელ პლანეტაზე“.

მარსზე ექსპედიციის წინასწარ პროგრამას „ამუშავებენ ნასასთან არსებული რეაქტიული მოძრაობის ლაბორატორიისა და [illegible] ნის ლინდონ ჯონსონ[illegible] ლობის პილოტირებული კოსმოსური ბომალდების ცენტრის თანამშრომლები. კოსმოსური სადგურის მარსისაკენ ფრენის ტრაექტორიაზე გასაყვანად ნავარაუდევია ახალი რაკეტმატარებლის გამოყენება, რომელიც, როგორც მოელიან, 1990 წლის დამლევისათვის შეიქმნება.

თუ პროექტს ნასას ხელმძღვანელობა მოიწონებს და იგი საკონგრესო მხარდაჭერას პოვებს კონგრესში, მაშინ ჯერ კიდევ საუკუნის დამლევამდე კოსმოსური სადგური მარსს მიაღწევს. როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო აღნიშნავს, სადგურის დასაშვები მოდული ორი ნაწილისაგან იქნება შემდგარი: საკუთრივ დასაშვები აპარატი და თვითმავალი ურიკა — „მარსმავალი“. ეს უკანასკნელი აღჭურვება მანიპულატორით, რომელიც პლანეტის ზედაპირზე „გასეირნების“ დროს შეაგროვებს მარსის მთის ქანების და გრუნტის ნიმუშებს. დასაშვები აპარატი ერთ ადგილას დარჩება, მაგრამ ანალოგიური მანიპულატორის მეშვეობით ისიც შეაგროვებს სინჯს პლანეტის გაყინული ზედაპირის სიღრმეში.

როგორც ბრიფინგის დროს ჯეფრი ბრიგსმა განაცხადა, რომელიც მეთაურობს მარსის შემსწავლელ ნასას ჯგუფს, მეცნიერები ათი წელია ასეთ ექსპედიციაზე ოცნებობენ. მისი თქმით, ბიოლოგები და გეოლოგები, რომლებიც აპირებენ პროექტის ხორცშესხმაში მონაწილეობას, იმედოვნებენ, რომ მნიშვნელოვნად გამდიდრებენ თავიანთ ცოდნას მარსის შესახებ.

სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელების კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრში გაიმართა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე: „სკკპ XXVII ყრილობა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმი და საკადრო პოლიტიკის სრულყოფის აქტუალური პრობლემები“.

კონფერენციაზე მოწვეული იყვნენ საქართველოს კომპარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების დარგობრივი მდივნები, საქალაქო, რაიონული კომიტეტების პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებათა ინსტრუქტორები და ლექტორები, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პარტიული ორგანიზაციების გუთავისუფლებელი მდივნები, რაიონული აგროსამეწველო გაერთიანებების თავმჯდომარეები და თავმჯდომარეთა მოადგილეები, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელები, საქართველოს, [illegible] კავების მრეწველობის [illegible] სახალხოარმრეწვის ხელმძღვანელი მუშაკები, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელების კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრის პროფესორ-მასწავლებლები, ბაკოს უმაღლესი პარტიული სკოლის წარმომადგენლები.

კონფერენციაზე მოისმინეს მთელი ჩვენი საქმიანობის გარდაქმნის, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების პირობებში პარტიის საკადრო პოლიტიკის აქტუალური საკითხებისადმი მიძღვნილი მოხსენებები.

გაზეთებში, საერთაშორისო ბაზრობაზე

„ესპანეთი. ქალაქი ბარსელონა. საერთაშორისო ბაზრობა“. ამ მისამართით თბილისიდან დიდი კონტეინერები გაიგზავნა. ისინი დატვირთულია საბჭოთა გამოფენის ექსპონატებით, რომელშიც წელს 30 მაისიდან 7 ივნისამდე ფართო განყოფილებით იქნება წარმოდგენილი ჩვენი რესპუბლიკა.

გამოფენა ესპანელებსა და ქვეყნის სტუმრებს გააცნობს საქართველოს კულტურულ და მეცნიერულ ცხოვრებას, მის ისტორიასა და დღევანდელობას, უამბობს საქართველოსა და ესპანეთის კულტურული და მეცნიერულ-ტექნიკური კავშირურთიერთობის შესახებ. გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება ათობით დანადგარი, ბოლო წლების უახლესი ნამუშევრები, რომლებიც შექმნილია რესპუბლიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებში, უმაღლეს სასწავლებლებში, სამეცნიერო-სამრეწველო გაერთიანებებში.

კულტურული და ეროვნული ტრადიციების შენარჩუნების შესახებ დამთვალიერებლებს მოუთხრობენ სპეციალური განყოფილების ექსპონატები. აქ წარმოდგენილია მსუბუქი და კვების მრეწველობის პროდუქცია, მინის ნაწარმი, კერამიკა, ბროლი, ხალიჩები, ეროვნული ტანსაცმელი, ხალხური საკრავები, მთელ მსოფლიოში ცნობილი ქართული ჭიდურობის ნიმუშები, ფირმა „სოლანის“ ოსტატთა ნახელავი.

ფართოდ იქნება ნაჩვენები ქრონიკულ-დოკუმენტური კინოსურათები, რომლებიც ასახავენ საქართველოს ცხოვრებას, რესპუბლიკის მშრომელთა [illegible] ებს. ჩვენი რესპუბლიკის მეცნიერები და სპეციალისტები მონაწილეობას მიიღებენ „მრგვალი მაგიდების“ სხდომებში, წაიკითხავენ ლექციებს.

გამოფენის ფარგლებში გაიმართება საქართველოს დღე, რომელშიც მონაწილეობისათვის ბარსელონაში ჩამოვა ოფიციალური დელეგაცია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ო. ვარძელაშვილის მეთაურობით. ბაზრობაზე გამოვლენ რესპუბლიკის ხელოვნების ოსტატები და თვითმოქმედი შემოქმედებითი კოლექტივები. ტანსაცმლის ახალ ნიმუშებს აჩვენებს თბილისის მოდელების სახლი.

— ესპანელებს პირველად რიდი ეძლევათ შესაძლებლობა უფრო ახლოს გაეცნონ საქართველოს, უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს საქართველოს სსრ სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გ. ახვლედიანმა, — ბოლო წლების მანძილზე ესპანეთში ორჯერ დიდი წარმატებით გაიმართა საქართველოს კულტურის დღეები, რომელმაც ფართო საზოგადოებრივი რეზონანსი გამოიწვია და უდიდესი ესპანური გაზეთების ერთსულოვანი აღიარებით ქვეყნის კულტურული ცხოვრების შესამჩნევ მოვლენად იქცა.

კატალონიის დედაქალაქ ბარსელონაში მომავალი შეხვედრა განსაკუთრებულია. გამოფენის საქართველოს განყოფილების გახსნა ემთხვევა ღირსშესანიშნავ თარიღს — სსრ კავშირისა და ესპანეთის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების ათი წლისთავს. ორი ქვეყნის საქმიანი და მეგობრული კონტაქტები ნიადაგ ფართოვდება, ჩქარდება მისი ტემპი.

და კიდევ: საზღვარგარეთ საქართველოს გამოფენების პრაქტიკაში პირველად ეძღვნება სპეციალური განყოფილების თემას „მრეწველობის მიღწევები — პატენტები და ლიცენზიები“. იგი შეიცავს ჩვენი მეცნიერებისა და სპეციალისტების დაახლოებით სამ ათეულ ლიცენზიურ ნამუშევარს. ბევრი მათგანი უკვე დაპატენტებულია ამერიკის შეერთებულ შტატებში, საფრანგეთში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, კანადაში, იაპონიაში, სხვა ქვეყნებში. ვვარაუდობთ, ბაზრობებზე დავდოთ ლიცენზიების გაყიდვის ახალი ხელშეკრულებანი. სხვათა შორის, ბოლო წლებში ესპანეთისა და სსრ კავშირის ყველაზე დიდი, მრავალმილიონიანი კონტრაქტი ეხებოდა ესპანეთის ფირმა „სეგასისაგან“ მანგანუმის ელექტროლიზური ორეანგის მისაღები ტექნოლოგიისა და მოწყობილობის შესყიდვას. იგი ათვისებულია რუსთავის საწარმოო გაერთიანება „აზოტი“.

ჩვენს რესპუბლიკაში ესპანელებისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულებაა. საქართველოსა და ესპანეთს ოდითგანვე აერთიანებს მჭიდრო კულტურული და სამეცნიერო კავშირურთიერთობა. ოქ საუკუნეზე მეტი ხანია არსებობს ქართველთა და ბასკთა ნათესაობის ჰიპოთეზა. გასული საუკუნის დამლევს ესპანელი ავტორების პირველი თარგმანებით იღებს დასაბამს საქართველოსა და ესპანეთის ლიტერატურული კავშირურთიერთობა. ესპანური პიესები იდგმება საქართველოს თეატრებში, ხოლო ქართველი ავტორებისა — ესპანეთში. ნაყოფიერად თანამშრომლობენ მეცნიერები.

საბჭოთა კავშირ-ესპანეთის ბოლო წლების პოლიტიკურმა კონტაქტებმა ცხადყო, — თქვა დასასრულ გ. ახვლედიანმა, — რომ ჩვენი ქვეყნები მხარს უჭერენ ომის საფრთხის თავიდან აცილებას, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას. ორივე ქვეყანა დაინტერესებულია დაძაბულობის შენელებით, საიმედო უშიშროებით. დარწმუნებული ვართ, რომ საქართველოს ახალი შეხვედრა ესპანელებთან ხელს შეუწყობს ბასკების ქვეყანასთან მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომ განმტკიცებას, მშვიდობის საქმეს, ბირთვული ომის საფრთხის თავიდან აცილებას.

(საქინფორმი).

გამოთხოვება...

2 აპრილს ქართველმა ხალხმა ღრმა მწუხარებით მიაბარა მშობელ მიწას გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ქართული ფილოლოგიური სკოლის აღიარებული თავკაცი აკაკი გაბრიელის ძე შანიძე. ჩვენგან წავიდა მეცნიერების პატრიარქი, რომელიც მეცნიერი მამულიშვილის საუკეთესო თვისებებს განასახიერებდა. სულ ახლახან რესპუბლიკის საზოგადოებრიობამ, მისმა მრავალრიცხოვანმა საბჭოთა და საზღვარგარეთელმა მოწაფეებმა დიდი პატივისცემითა და სიყვარულით აღნიშნეს სწავლულის 100 წლის იუბილე. და რაოდენ სამწუხაროა, რომ დღეს სამუდამოდ ვეთხოვებით მას.

უშრეტმა შემოქმედებითმა ენერგიამ, უდიდესმა მრომისმოყვარეობამ, მეცნიერულმა პრინციპულობამ და თავმდაბლობამ აღიარება და პატივისცემა მოუხვეჭა აკაკი შანიძეს ჩვენს ქვეყანაშიც და საზღვარგარეთაც. მთელი მისი მრავალმხრივი მოღვაწეობა სამშობლოს, საბჭოთა მეცნიერების უანგარო სამსახურს წარმოადგენდა. უამრავ სტრიქონს დაიკავებდა სახელოვანი სწავლულის მარტოოდენ ტიტულებისა და წოდებათა ჩამოთვლა, ხოლო მისი წიგნებისა და ნაშრომების დასახელებას რამდენიმე ტომი დასჭირდებოდა. მაგრამ მთავარი ის არის, რომ მეცნიერის სახელი უკავშირდება თბილისის უნივერსიტეტის შექმნას, განვითარებასა და ჩამოყალიბებას.

...სამგლოვიაროდ არის მორთული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დარბაზი. ყველანაირი მორთული მაღალ კვარცლებიკენ ასვენია ცხედარი. მწუხარე დუმილით მოდიან თბილისელები, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების წარმომადგენლები, მეცნიერები, კულტურის მოღვაწეები, ახალგაზრდები, რათა თაყვანი სცენ ადამიანს, რომელმაც ფასდაუდებელი ამაგი დასდო მშობლიურ მეცნიერებას.

გამოჩენილ მეცნიერთან გამოსათხოვებლად მოვიდნენ ამხანაგები ჯ. ი. პატიაშვილი, გ. ა. ახნაბაძე, ო. გ. ვარძელაშვილი, ო. ე. ჩერქეზიანი, ზ. ა. ჩხეიძე, გ. გ. გუმბარიძე, ჯ. ვ. მარგველიძე.

საპატიო ყარაულში დგანან დამკრძალავი კომისიის წევრები, მეცნიერის კოლეგები, მისი მოწაფეები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი.

15 საათი და 15 წუთია. იწყება სამგლოვიარო მიტინგი, რომელსაც ხსნის აკაკი შანიძის დამკრძალავი კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ზ. ჩხეიძე.

ბრძენ მასწავლებელს, ჭეშმარიტ პატრიოტსა და ინტერნაციონალისტს უკანასკნელად გამოეშვიდობნენ უნივერსიტეტის რექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ნ. ამაღლობელი, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი გ. ჯიბლაძე, აკადემიკოსი თ. გამყრელიძე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ს. ჯიქია, ჰუტი-აკადემიკოსი ი. აბაშიძე, სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი გ. ჯაუკიანი, აზერბაიჯანის უნივერსიტეტის პრორექტორი ო. დამენია, სამტრედიის რაიონის სოფელ ნოღის საშუალო სკოლის დირექტორი ვ. კუტალაძე, თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტი მ. ბაბუხადია.

მიტინგზე წაიკითხეს სამძიმრის დეპეშები. მათ შორის იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ე. ა. შევარდნაძის დეპეშა. დეპეშები მოვიდა მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, მოკავშირე რესპუბლიკებიან, აგრეთვე ინგლისიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან, ბულგარეთიდან. ევროპიდან და სხვა ქვეყნებიდან.

მიტინგი დამთავრდა. საბაგლოვიაროო მელოდიის თანხლებით ცხედარი გამოასვენეს უნივერსიტეტის ეზოში და საფლავში ჩასვენეს. ამიერიდან ქართველი ერის სასიქადულო მამულიშვილთა შორის, რომლებიც უნივერსიტეტის ბალის წმიდათაწმიდა ბინაში განისვენებენ, დაივნებს აკაკი შანიძეც, რომლის შემოქმედებითი მემკვიდრეობაც უკვდავია. გავა წლები, ათწლეულები და მისი წიგნებით სულ ახალ-ახალი თაობები აღიზრდება, რომლებიც მადლიერებით მოიგონებენ სწავლულის სახელს. (საქინფორმი).

● ჩილე

ეს სპეციალისტ

მარცვალი კაფსულიდან იზრდება

სოფია. სოფიის თესლის წარმოების ინსტიტუტის სპეციალისტებმა ბულგარელ მიწათმოქმედებს წლეულს გადასცეს ორიგინალური მეთოდი, რომლის მეოხებითაც 10 პროცენტით იზრდება მარცვლის გადვივება, უზრუნველყოფს მცენარის სწრაფ განვითარებას. მისი არსი ის არის, რომ თითოეულ თესლს ფარავენ სპეციალური პოლიმერული საფარველით. წარმოშობილი კაფსულა მარცვალს იცავს მავნებლებისა და დაავადებებისაგან აღმოცენების სტადიაში, შემდგომში ფესვთა სისტემას უზრუნველყოფს ზრდის საჭირო სტიმულატორებით, პესტიციდებით, მიკრო და მაკროელემენტებით.

ამგვარი ტექნოლოგიები სხვა ქვეყნებშიც არის ცნობილი. მაგრამ ბულგარელმა სპეციალისტებმა შექმნეს მოწყობილობა ჩვეულებრივ ტემპერატურაზე პოლიმერული კაფსულების წარმოსაქმნელად, რის შედეგადაც საჭირო აღარ არის საშრობი დანადგარების მშენებლობა. გამოცდებმა ცხადყო, რომ ასეთი თესლი შეიძლება ნიადაგში დაითესოს დადგენილ ვადებზე 10-15 დღით ადრე, აღმონაცენი ხშირია, არსებითად იზრდება მარცვლოვანთა მოსავლიანობა.

მარსზე ექსპედიციის გეგმები

ვაშინგტონი. აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნული სამმართველოს (ნასა) სპეციალისტები განიხილავენ იმ ავტომატური კოსმოსური სადგურის შექმნის პროექტებს, რომელმაც უნდა მიაღწიოს მარსს, დაეშვას მის ზედაპირზე, აიღოს პლანეტის 5 კილოგრამამდე გრუნტის სინჯი და ჩამოიტანოს დედამიწაზე. მეცნიერები იმედოვნებენ, რომ მარსის გრუნტის სინჯის ანალიზი, ბოლოს და ბოლოს, პასუხს გასცემს კითხვას, არსებობდა თუ არა ოდესმე სიცოცხლე „წითელ პლანეტაზე“.

მარსზე ექსპედიციის წინასწარ პროგრამას „ამუშავებენ ნასასთან არსებული რეაქტიული მოძრაობის ლაბორატორიისა და [illegible] ნის ლინდონ ჯონსონ[illegible] ლობის პილოტირებული კოსმოსური ბომალდების ცენტრის თანამშრომლები. კოსმოსური სადგურის მარსისაკენ ფრენის ტრაექტორიაზე გასაყვანად ნავარაუდევია ახალი რაკეტმატარებლის გამოყენება, რომელიც, როგორც მოელიან, 1990 წლის დამლევისათვის შეიქმნება.

თუ პროექტს ნასას ხელმძღვანელობა მოიწონებს და იგი საკონგრესო მხარდაჭერას პოვებს კონგრესში, მაშინ ჯერ კიდევ საუკუნის დამლევამდე კოსმოსური სადგური მარსს მიაღწევს. როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო აღნიშნავს, სადგურის დასაშვები მოდული ორი ნაწილისაგან იქნება შემდგარი: საკუთრივ დასაშვები აპარატი და თვითმავალი ურიკა — „მარსმავალი“. ეს უკანასკნელი აღჭურვება მანიპულატორით, რომელიც პლანეტის ზედაპირზე „გასეირნების“ დროს შეაგროვებს მარსის მთის ქანების და გრუნტის ნიმუშებს. დასაშვები აპარატი ერთ ადგილას დარჩება, მაგრამ ანალოგიური მანიპულატორის მეშვეობით ისიც შეაგროვებს სინჯს პლანეტის გაყინული ზედაპირის სიღრმეში.

როგორც ბრიფინგის დროს ჯეფრი ბრიგსმა განაცხადა, რომელიც მეთაურობს მარსის შემსწავლელ ნასას ჯგუფს, მეცნიერები ათი წელია ასეთ ექსპედიციაზე ოცნებობენ. მისი თქმით, ბიოლოგები და გეოლოგები, რომლებიც აპირებენ პროექტის ხორცშესხმაში მონაწილეობას, იმედოვნებენ, რომ მნიშვნელოვნად გამდიდრებენ თავიანთ ცოდნას მარსის შესახებ.

✓ ✓ ✓

● ✓ ✓ ✓

✓ ✓ ✓

✓ ✓ ✓

✓ ✓ ✓

● ✓ ✓ ✓

✓ ✓ ✓

✓ ✓ ✓

##

ჭიათურის თეატრი რიგაში

ჭიათურა (ხაკ. კორ.). საქართველოს თეატრალურ საზოგადოებასთან არსებული „მეგობრობის თეატრის“ ინიციატივით ჭიათურის სახელმწიფო თეატრი საგასტროლოდ იმყოფებოდა რიგაში.

თეატრის მთავარმა რეჟისორმა ლევან სვანაძემ საგასტროლოდ ამერიკელი დრამატურგის ედვარდ ოლბის პიესა „ზოოპარკის ისტორია“ აირჩია, რომელმაც წარმატებით ჩაადარა გამოცდა თბილისის ა. ხორავას სახელობის მსახიობის სახლში და თეატრალური ინსტიტუტის სასწავლო თეატრში.

რიგაში ჭიათურელთა სპექტაკლის შემდეგ იმპროვიზებულ პრეს-კონფერენციაზე ლატვიელმა თეატრმცოდნეებმა და კრიტიკოსებმა გამოთქვეს თავიანთი აზრი.

ლატვიის თეატრალურ მოღვაწეთა კავშირის თაოსნებმა ერის ცნობილ მოადგილემ გაიდა ბარისონემ აღნიშნა: „ძალიან კარგად ვიცნობ ოლბის დრამატურგიას და ჩემთვის სასიამოვნო მოულოდნელობა იყო „ზოოპარკის ისტორიის“ თქვენებური ინტერპრეტაცია. ძალიან რთული სამუშაოს მიუხედავად, მსახიობები ახერხებდნენ ზუსტად გადმოეცათ პიესის აზრი, მისი პრობლემატიკა“.

თეატრმცოდნემ ირინე მეინერტემ გულახდილად მიანიჭა უპირატესობა „ზოოპარკის ისტორიის“ ჭიათურის თეატრის დადგმას მისთვის ცნობილ სხვა დადგმებთან შედარებით.

გაზეთ „მოლოდიოჟ ლატვიის“ ფურცლებზე დაიბეჭდა ინტერვიუ რეჟისორ ლევან სვანაძესთან და მსახიობ კუკური ყიფიანთან. სპექტაკლი უჩვენა ლატვიის ტელევიზიამ. ლ. სვანაძე აირჩიეს ცნობილი ლატვიელი ხელოვნის სმიგლერის მუზეუმის საბჭოს საპატიო წევრად.

ამაღლებული იყო გასტროლების ბოლო სპექტაკლის შემდეგ შეხვედრა ჭიათურასთან დაამობილებულ ქალაქ სიგულდის დელეგაციასთან. მათ ბევრი რამ გაიხსენეს 30 წლის მეგობრობის ისტორიიდან. სპექტაკლის ყველა წევრს გადასცეს სამახსოვრო სუვენირები და მიიწვიეს ქ. სიგულდაში. ეს შეხვედრა ლატვიელი და ქართველი ხალხის მეგობრობის მანიფესტაციად გადაიქცა.

ჭიათურის თეატრის პირველი საგასტროლო მოგზაურობა რიგაში ფეხბედნიერი გამოდგა. იგი მიწვეულია კაუნასსა და ვილნიუსში, ხოლო ზაფხულში ჭიათურელები კიევს ესტუმრებიან.

„ოქროს კერპით“ დაიწყეს

საქართველოს თეატრალურ მოღვაწეთა კავშირის „მეგობრობის“ თეატრის მოწვეევით საქართველოს პროფკავშირების კულტურის სასახლეში 12 აპრილამდე გასტროლებს მართავს მოსკოვის კამერული მუსიკალური თეატრი, რომლის სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი რეჟისორია სსრ კავშირის სახალხო არტისტი, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, პროფესორი ბ. პოკროვსკი.

პირველ სპექტაკლად დასმა მაყურებელს უჩვენა კომპოზიტორ ტ. ხრენიკოვის ორმოქმედებიანი კომიკური ოპერა „ოქროს კერპი“. სპექტაკლის ლიბრეტო ილფისა და პეტროვის ამავე სახელწოდების რომანის მიხედვით შექმნა ი. ხალეცკიმ.

სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორი თვით ბ. პოკროვსკი ამბობს: კომპოზიტორის მიერ ინტერპრეტირებული კარგად ცნობილი რომანი ერთი შეხედვით სადა და მარტივია, სწორედ ამ სისადავეში ხედავს თეატრი სერიოზულ თანამედროვე თემას, რომელიც დღესაც სიცილს, განსჯასა და გაკიცხვას იმსახურებს.

გარდა ამ პიესისა, მოსკოველებს საგასტროლო რეპერტუარში აქვთ კიდევ რვა სპექტაკლი.

სურათზე: სპექტაკლ „ოქროს კერპის“ ერთერთი სცენა, ბენდერი — ა. მოჩალოვი, ზოსია — ო. შალაევა.

ჯ. ლომაძის ფოტო.

ორიოდ სიტყვით

◆ **გამოვლენილი** უყაირათობისა და მფლანგველობისათვის შარშან აფხაზეთის სხვადასხვა საფეხურის სახალხო კონტროლის კომიტეტებმა ბრალეულთ თითქმის 70 ათასი მანეთის ფულადი დარიცხვა დააკისრეს. კონტროლიორთა მიერ მოწყობილი შემოწმების მასალები, რომელთა ბოლოს გამოვლინდა უნეში დარღვევები საფინანსო-სამეურნეო საქმიანობაში, დაეგზავნათ საგამოძიებო ორგანოებს.

ეს და სხვა ფაქტები მოიყვანეს ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო კონტროლის ორგანოთა აქტივის კრებაზე, რომელიც მიეძღვნა სკკპ XXVII ყრილობის მოთხოვნათა შესაბამისად მუშაობის ეფექტიანობის გაღიდების საქმეში კონტროლიორთა ამოცანებს.

◆ **ხსოვნის,** სიკეთისა და ბოროტების შესახებ—ასე განსაზღვრა თავისი ფილმის „დაჯილდოვდეს (სიკვდილის შემდეგ)“ არსი დამგმემა რეჟისორმა ბორის გრიგორიევმა: იგი პირველად იხიელს მიღიციის თანამშრომლებმა, რომლებმაც თბილისის ძერჟინსკის სახლში შეხვედრა მოუწყვეს ფილმის დამდგმელ კოლექტივს.

...პირველი ომისშემდგომი ზაფხული. პატარა ქალაქში ჩადის ახალგაზრდა — ყოფილი მზვერავი, რომელმაც ფრონტზე კონტუზია მიიღო. მეხსიერების სრული დაკარგვა, უთვისტომო ადამიანი, „ტაბუდა რაზა“ — „სუფთა დაფა“, — რომელზედაც შეგიძლიათ დაწერით ყველაფერი, რასაც მოისურვებთ. აღბათ, უკეთესი იქნება, თუ ამით დავამთავრებთ სიუჟეტზე თხრობას, თორემ ფილმის ნახვა საინტერესო აღარ იქნება. ფილმი მაინც სათავგადასავლოა, და მასში ყველაფერია, რაც ჟანრს ახასიათებს.

ფილმი საბჭოთა მიღიციის 70 წლისთავს ეძღვნება და მაღე გამოვა ეკრანებზე.

◆ **„ცა** რომ სარკე იყოს“ — ასეა დასათაურებული ლენინური პრემიის დაურეატის, მწერალ ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებების მიხედვით შექმნილი სპექტაკლი, რომელიც სიღნაღის სახალხო თეატრმა უჩვენა მაყურებელს.

სპექტაკლი დადგა რეჟისორმა მ. ვაშაკიძემ, მხატვრულად გაფორმა თ. სუმბათაშვილმა, მუსიკა კი გ. სიხარულიძეს ეკუთვნის.

თვითმოქმედი თეატრის ნამუშევარი მაყურებელმა გულთბილად მიიღო.

◆ **ლენტების** რაიონის მოსახლეობა, რომელიც ღიღბანს იყო თოვლის ტყვეობაში, რა თქმა უნდა, ბევრ სხვა სიკეთესთან ერთად, ტელეგადაცემებსაც იყო მოკლებული. ახლახან კვლავ დაზიანდა ტელესადგურის მკვებავი მაღალი ძაბვის ელექტროსაზი, მაგრამ სასწრაფოდ დაკომპლექტდა ოპერატიული ჯგუფი და ელექტრიკოსებმა ღროულად აღადგინეს იგი. ასე რომ, ლენტეხელთა ბინებში კვლავ აკიაფდა ცისფერი ეკრანი.

◆ **სსრ** კავშირის სახალხო არტისტი რ. სტურუა მიწვეულია ე. ვახტანგოვის სახელობის აკადემიურ თეატრში სპექტაკლ „ომი თუ ზავის“ დასადგმელად. მაღე თბილისის რუსთაველის სახელობის აკადემიურ თეატრში გაიმართება სპექტაკლ „მეფე ლირის“ პრემიერა, რის შემდეგაც რეჟისორი მოსკოვს გაემგზავრება.

მიხეილ შატროვის ეს პიესა, რომელიც ჩვენი ქვეყნის რევოლუციური წარსულის ფურცლებს აცოცხლებს, პირველად იდგმება სცენაზე. სპექტაკლს მხატვრულად გააფორმებს მ. აღექსიმესხიშვილი, მუსიკა კი კომპოზიტორმა ზ. ყანჩელმა დაწერა.

— მიხეილ შატროვი ერთი შეხედვით დოკუმენტური პიესების ავტორია, — ამბობს რ. სტურუა, — ეს ის ჟანრია, რომელიც არცთუ ისე მიყვარს. მე მგონია, და მის პიესაზე „ღურჯი ცხენები წითელ ბაღაზზე“, მუშაობის გამოცდილებამაც დამარწმუნა, რომ მისი დრამატურგიის საიდუმლოება მხოლოდ ნაწილობრივაა გახსნილი, იგი სავსეა თეატრალური პოეზიით.

რეჟისორი ამ პიესას მშობლიური თეატრის სცენაზეც დადგამს. იგი რუსთაველელთა საუბიელო აფიშაშია შეტანილი.

„ᲣᲩᲕᲔᲣᲚᲝ ᲛᲐᲢᲩᲘ“

3-5 აპრილი: საქართველო (ქალები) — იუგოსლავია (ვაჟები)



დღეიდან თბილისელი ჭადრაკის მოყვარულები მეტად საინტერესო მატჩის მოწმენი გახდებიან. საქართველოს ქალთა ნაკრები მსოფლიო ჩემპიონის მაია ჩიბურდანიძის მეთაურობით ხვდება გუნდს, რომელიც ცნობილი იუგოსლავი ვაჟი დიდოსტატებითა და საერთაშორისო ოსტატებით არის დაკომპლექტებული. ასეთი გუნდური შეჯიბრება, როგორ ქალები ვაჟებს უპირისპირდებიან, ჭადრაკის ისტორიაში საერთოდ პირველად იმართება.

ჩვენს 6 სტუმარს შორის ამჟამად ყველაზე დიდი წარმატებები 42 წლის დიდოსტატს მიშო ცებალოს აქვს. იგი ადრე იუგოსლავიის ჩემპიონი იყო, არაერთგზის უთამაშია ქვეყნის პირველ ნაკრებში, მონაწილეობდა მსოფლიო პირველობის საზონთაშორისო ტურნირში. შარშან მისმა კლუბმა „ბოშამ“, სადაც პირველ დაფაზე ცებალო თამაშობს (დანარჩენი იუგოსლავი სტუმრებიც ამ კლუბს მიეკუთვნებიან), ქვეყნის გუნდურ პირველობაზე მეორე ადგილი დაიკავა. ამ გამოცდილ დიდოსტატს ბეგერ საერთაშორისო ტურნირში მიუღია მონაწილეობა, მაგრამ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ცებალოს შარშანდელი მიღწევა ბილში (შვეიცარია). ამ მეთორმეტე კატეგორიის ტურნირში, სადაც 12 მონაწილიდან 9 ცნობილი დიდოსტატი იკრიბებოდა, მესამე-მეოთხე ადგილები გაიყო ვლასტიმილ ჰორტთან (გფრ). იგი მხოლოდ ნახევარი ქულით ჩამორჩა პოლუგაევსკისა და ერიკლობრონს (გფრ). საინტერესოა აღინიშნოს, რომ ცებალომ უკან ჩამოიტოვა ისეთი ცნობილი მოჭადრაკეები, როგორიც არიან ჯონნანი, ენტონი მაილსი (ორივე — ინგლისი), რობერტ ჰიუბნერი (გფრ), დაამარცხა მსოფლიო ჩემპიონობის ყოფილი პრეტენდენტი ვიქტორ კორჩნოი (შვეიცარია).

დიდი გამოცდილება აქვს იუგოსლავიის კიდევ ერთ ექსჩემპიონს, დიდოსტატ დუშან რაიკოვიჩს. იგი ხშირად მონაწილეობს სხვადასხვა სიძლიერის საერთაშორისო შეჯიბრებებში. ადრე რაიკოვიჩი იუგოსლავიის ოლიმპიური ნაკრების წევრიც იყო.

ბოლო წლებში ჩინებული შედეგები აქვს დიდოსტატ რადოსლავ სიმიჩს. მარტის პირველ ნახევარში მან დიდ წარმატებას მიაღწია ლუგანოში (შვეიცარია). აქ 204 დიდოსტატი, ოსტატი და ოსტატობის კანდიდატი თამაშობდა (9 ტური, შვეიცარიული სისტემა). ბოლო ტურის წინ სიმიჩი პირველ ადგილზე იყო, მაგრამ გადამწყვეტი შეხვედრა წააგო აშშ-ის ჭადრაკის ახალბედელ ლიდერთან იასერ სეირავანთან, რომელმაც 7,5 ქულით პირველი ადგილი დაიკავა. სიმიჩმა 7 ქულით მეორე-მესამე ადგილები გაიყო იუგოსლავ ივან სოკოლოვთან ერთად.

დიდოსტატი სლობოდან მარტინოვიჩი არაერთხელ ყოფილა საბჭოთა კავშირში. იგი წლის განმავლობაში რამდენიმე საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობს, თამაშობს ბალკანიადებში და სხვადასხვა გუნდურ შეჯიბრებებში. ასევე ფრიად გამოცდილი მოჭადრაკეები არიან საერთაშორისო ოსტატები მომჩილო დესპოტოვიჩი და ჟიკა ლუბისლავლევიჩი.

ქართველ მოჭადრაკე ქალთა რაზმში შედიან მაია ჩიბურდანიძე, ნონა გაფრინდაშვილი, ნანა ალექსანდრია, ელენე ახმილოვსკაია, ნანა იოსელიანი, ნინო გურიელი და ქეთევან არახამია.

ერთი სიტყვით, ვნახოთ! ცხადია, წინასწარ ძნელია რომელიმე მხარისათვის უპირატესობის მინიჭება.

გ. გამრეკელი.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

გუშინ გაიმართა უმაღლესი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეხუთე ტურის ერთი მატჩი: ცსკა-„მეტალისტი“ — 2:0. დანარჩენი შეხვედრები დღეს მოეწყობა: კიევის „დინამო“ მიიღებს „დნეპრს“, „შახტიორი“— „სპარტაკს“, „ტორპედო“ — მოსკოვის „დინამოს“, „გურია“ — „ყაირათს“, თბილისის „დინამო“ — „ზენიტს“, „არარატი“ — „ჟალგირისს“, „ნეფთჩი“ — მინსკის „დინამოს“.

მოსკოვში გაიმართა სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმის სხდომა, რომელმაც განიხილა რამდენიმე საკითხი. მოისმინეს საბჭოთა ოლიმპიური ნაკრების უფროსი მწვრთნელის ა. ბიშოვეცის ანგარიში იმის თაობაზე, თუ როგორ ემზადებოდა ნაკრები ოლიმპიური შერჩევითი ტურნირის მატჩისათვის, რომელიც იზმირში 15 აპრილს უნდა მოეწყოს საბჭოთა კავშირისა და თურქეთის ფეხბურთელებს შორის. მან დაასახელა ფეხბურთელები, რომლებიც ამ მატჩისთვის ემზადებიან. მათ შორის არის თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელი გელა კეტაშვილი. ფედერაციის პრეზიდიუმის სხდომაზე განიხილეს იმ არბიტრების საკითხი, რომელთაც „ზენიტისა“ და ცსკას (არბიტრი ვ. კუზნეცოვი) და კიევის „დინამოსა“ და „ნეფთჩის“ (ვ. ჟუკი) მატჩებზე პანალტების დანიშვნისას შეცდომები დაუშვეს. პრეზიდიუმმა გადაწყვიტა, რომ ეს მსაჯები უახლოეს მატჩებს არ მოეშსახურებიან. გარდა ამისა, დამატებით განიხილავენ კიევის „დინამოსა“ და „ნეფთჩის“ მატჩის ვიდეოჩანაწერს და საბოლოო დასკვნას მხოლოდ ამის შემდეგ გამოიტანენ. და ბოლოს, გადაწყდა, რომ წლევანდელ სეზონშიც ფრეთა ლიმიტი ისეთივე იქნება, როგორც ეს იყო: უმაღლეს ლიგაში — 10 ფრე, პირველში — 12. ნავარაუდევია, რომ მომავალ წელს ფრეთა ლიმიტები გაუქმდება.

სსრ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ფეხბურთის ფედერაციამ აპრილის მატჩებისათვის წინასწარ დანიშნა არბიტრები და ინსპექტორები. „გურიისა“ და „ყაირათის“ მატჩის (3 აპრილი) არბიტრი ი. სერგიენკო და მოსკოველი ინსპექტორი ე. ლიადინი; თბილისის „დინამოსა“ და „ზენიტის“ (6 აპრილი) — ხარკოველი არბიტრი ი. სერგიენკო და მოსკოველი ინსპექტორი ე. ლიადინი; თბილისის „დინამოსა“ და „ყაირათისა“ (7 აპრილი) — როსტოველი არბიტრი ი. ტიმოშენკო და ხარკოველი ინსპექტორი მ. პინსკი; „ჟალგირისა“ და თბილისის „დინამოსა“ — ოდესელი არბიტრი ვ. ლიასენკო და მოსკოველი ინსპექტორი ნ. ეიხარვეი; მინსკის „დინამოსი“ და „გურიისა“ — ტომსკელი არბიტრი ნ. იუროვი და მოსკოველი ინსპექტორი ა. კადეტოვი.

მოსკოვში დამთავრდა ვაეკოლოდ ბობროვისა და ვიქტორ მასლოვის ხსოვნისადმი მიძღვნილი ჭაბუკ ფეხბურთელთა ტურნირები. ბობროვის მემორიალის ფინალში შეხვდნენ ცსკასა და თბილისის „დინამოს“ ჭაბუკი სპორტსმენები. გაიმარჯვეს არმიელებმა — 2:0. მასლოვის მემორიალის ფინალური შეხვედრა მოსკოვის „ტორპედოსთან“ ასეთივე ანგარიშით მოიგეს კიევის დინამოელებმა.

ᲑᲝᲡᲜᲘᲐᲨᲘ ევროპის ჩემპიონატის შერჩევითი მატჩების შედეგებს: **პირველი ჯგუფი.** ავსტრია-ესპანეთი — 2:3; **მეოთხე ჯგუფი.** ჩრდ. ირლანდია-ინგლისი — 0:2; **მეექვსე ჯგუფი.** უელსი-ფინეთი — 4:0; **მეშვიდე ჯგუფი.** ბელგია-შოტლანდია — 4:1, ბულგარეთი-ირლანდია — 2:1.

ᲡᲐᲢᲣᲠᲜᲘᲠᲝ ᲝᲠᲑᲘᲢᲐ

კლასიკური ჭიდაობა. მოსკოვში დამთავრებულ ჭაბუკთა (16-18 წლის-ასაკის სპორტსმენებს შორის) საკავშირო პირველობაზე სხვებთან ერთად თავი ისახელა ქუთაისელმა მოჭიდავემ **გ. კოლუაშვილმა.** იგი ოქროს მედალს დაეუფლა 88 კილოგრამამდე წონითს კატეგორიაში.

ᲕᲔᲚᲝᲡᲙᲠᲔᲢᲘ. თბილისის ტრადიციული საერთაშორისო მრავალდღიანი ველოსრბოლის მესამე ეტაპი (რუსთავის რკალური ტრასა — 20 წრე, 88 კმ) მოიგო ლატვიელმა ძინტარს უდრისმა. მეორე იყო მისი თანაგუნდელი კასპარ ოზერსი, მესამე — თბილისელი გენადი გოდუნოვი (სამივემ ერთნაირი დრო აჩვენა — 1:50.50). სამი ეტაპის ჯამით დაწინაურდა გოდუნოვი (5:45.56). მეორე ადგილზეა ხერსონელი მიხეილ კრიაზევი (5:45.57), მესამეზე — ოზერსი (5:46.08). გუნდურ ჩათვლაში ლიდერია ლატვიის პირველი ნაკრები. მეორე ადგილზეა თბილისის „განთიადის“ კოლექტივი, მესამეზე — ლატვიის მეორე ნაკრები.

მძლეოსნობა. ჩინეთის ქალაქ სილეუნში გამართულ შეჯიბრებებზე სპორტულ სიარულში ქალთა შორის ორი მსოფლიო რეკორდი დამყარდა: 5 კმ-ზე სიარულში მსოფლიო რეკორდი გააუმჯობესა იან ხუნმა (21.20,2), 10 კმ დისტანციაზე კი სიუი იუნცზიუმ იმარჯვა (44.26,5).

საორტული ტანვარჯიში. ლენინგრადსა და რიგაში დაწყო ტრადიციული საერთაშორისო შეჯიბრებები. ლენინგრადში მრავალშიდელთა ასპარეზობა მოიგო მოსკოველმა სერგი ხარკოვმა (57,3 ქულა). ქალთა შორის კი უძლიერესი იყო სარანსკელი ელენე ლუშკინა (39,35). რიგაში მრავალშიდელთა ასპარეზობა მოიგეს ვოროშილოვგრადელმა გენადი ზაპოროჟნიმ (57,8) და მინსკელმა სვეტლანა ბოგინსკაიამ (38,95). გუშინ ცალკეულ ვარჯიშებში უნდა გამოვლენილიყო გამარჯვებულები.

თავისუფალი ჭიდაობა. აიოვა-სიტიში (აშშ) სსრ კავშირის ნაკრებმა პირველი ამხანაგური მატჩი გაიმართა აშშ-ს ნაკრებთან და გაიმარჯვა ანგარიშით 7:3. მომდევნო სამატჩო შეხვედრები მოეწყობა მინეაპოლისში, პორტლენდსა და ანკორიჯში.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ

3 აპრილი

პირველი პროგრამა. 8.00 — დილის ვარჯიში. მულტფილმი. მუსიკა. 8.30 — „ვრემია“. 9.15 — „გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვება“. XI და XII სერია. 11.25 — ცხოველთა სამყაროში. 12.20, 17.00 და 18.05 — ახალი ამბები. 17.15 — მულტფილმი. 18.10 — კონცერტი. 18.40 — ფოტოკონკურსი „ჩემი საყვარელი სამშობლო“. 18.45 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი. 19.45 — პრობლემები — ძიებანი — გადაწყვეტანი. 20.30 — დღეს მსოფლიოში. 20.40 — მუსიკა და ჩვენ. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — „გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვება“. XII სერია. 23.45 — დღეს მსოფლიოში. 24.00 — ვ. ლეონტიევის კონცერტი ცენტრალურ საკონცერტო დარბაზში.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — დოკუმენტური ფილმი. 9.35 და 10.35 — მუსიკა. IV კლასი. 10.05 და 14.50 — ინგლისური ენა. 11.05 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი. 11.35 და 12.40 — გეოგრაფია. V კლასი. 12.05 — ანაბანა. 13.10 — მხატვრული ფილმი. 15.20 და 19.00 — ახალი ამბები. 15.25 — ე. პოფმანი. „ცხოვრება და შემოქმედება“. 19.15 — მღერის ი. ციორნოვა. 19.30 — დედის სკოლა. 20.00 — ფეხბურთი. კიევის „დინამო“ — „დნეპრი“. 21.50 — დოკუმენტური ტელეფილმი. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — კონცერტი. 23.25 — ახალი ამბები.



ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

3 აპრილი

პირველი პროგრამა. 8.30 — „ვრემია“. 9.15 — მოამბე. 9.50 — ქართული დოკუმენტური ფილმი „ვარძია.“ 15.05 — საინფორმაციო გამოშვება. 15.20 — ფიზიკის ტელეკურსი. 15.50 — საბავშვო-იუმორისტული კინოჟურნალი „ერალაში“. 16.00 — მასწავლებლის საათი. დაწყებითი განათლება. 16.30 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.40 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.50 — შეეცადეთ სწავლოთ ფრანგული ენა. 17.20 — განცხადებები. 17.25 — უმცროსკლასელთათვის. „ფანტაზია და მარჯვე ხელები“. 18.00 — პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთათვის. „ესტაფეტა“. 18.40 — ახალგაზრდობისათვის. „შუქნიშანი“. 19.00 — ფეხბურთი სსრ კავშირის პირველობაზე: თბილისის „დინამო“ — ლენინგრადის „ზენიტი“. რეპორტაჟი თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონიდან. 20.45 — მოამბე. 21.20 — გადაცემა „ოდეს კაცსა დაეჭიროს“... (სტიქიით დაზარალებულთა ოჯახების დასახლება დმანისის მიწა-წყალზე). 22.00 — „ვრემია“. 22.40 — საქართველოს სანაოსნო ცისფერ გზებზე. 22.45 — ფეხბურთი სსრ კავშირის პირველობაზე: ლანჩხუთის „გურია“ — ალმა-ათის „ყაირათი“. მეორე ტაიმის ვიდეოჩანაწერი ლანჩხუთიდან. 23.30 — ახალი ამბები (რუსულ ენაზე). 23.45 — საესტრადო კონცერტი.

მეორე პროგრამა. 16.40 — მულტიპლიკაციური ფილმი „ციცვი მიკის თავგადასავალი“. 17.45 — მოსწავლეთათვის. ფიზიკა. 18.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ლილა მშვიდობისა, კუმსიგორა“. 18.45 — განცხადებები.



ᲛᲐᲢᲩᲘ

3 აპრილი

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — **შოპენიანა, კარმენ სიუიტა** (მე-16 აპონ. მე-6 წარმოდგენა); მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **პიროსპირ;** მინიატიურების სახელმწიფო — **ახალ ბინას გილოცავთ;** მეტეხის — **პარტახი, უბედურება;**

ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲙᲐᲪᲘᲡᲐ

ᲐᲜᲣ ᲒᲐᲑᲘᲡᲝᲜᲘᲐᲡ „ᲯᲐᲓᲝᲥᲠᲔᲑᲘ“ ᲨᲝᲠᲔᲣᲚ ᲐᲚᲞᲔᲑᲨᲘ

„ᲒᲐᲠᲘᲑᲐᲚᲓᲘᲡ ᲨᲘᲛᲝᲗᲐ“ — ᲔᲠᲗᲘ-ᲔᲠᲗᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲖᲐᲜᲣᲚᲘ ᲠᲘᲒᲐᲨᲘ

1. „ᲒᲐᲠᲘᲑᲐᲚᲓᲘᲡ ᲨᲘᲛᲝᲗᲐ“ (ხაკ. კორ.). საქართველოს თეატრალურ საზოგადოებასთან არსებული „მეგობრობის თეატრის“ ინიციატივით ჭიათურის სახელმწიფო თეატრი საგასტროლოდ იმყოფებოდა რიგაში.

თეატრის მთავარმა რეჟისორმა ლევან სვანაძემ საგასტროლოდ ამერიკელი დრამატურგის ედვარდ ოლბის პიესა „ზოოპარკის ისტორია“ აირჩია, რომელმაც წარმატებით ჩაადარა გამოცდა თბილისის ა. ხორავას სახელობის მსახიობის სახლში და თეატრალური ინსტიტუტის სასწავლო თეატრში.

რიგაში ჭიათურელთა სპექტაკლის შემდეგ იმპროვიზებულ პრეს-კონფერენციაზე ლატვიელმა თეატრმცოდნეებმა და კრიტიკოსებმა გამოთქვეს თავიანთი აზრი.

ლატვიის თეატრალურ მოღვაწეთა კავშირის თაოსნებმა ერის ცნობილ მოადგილემ გაიდა ბარისონემ აღნიშნა: „ძალიან კარგად ვიცნობ ოლბის დრამატურგიას და ჩემთვის სასიამოვნო მოულოდნელობა იყო „ზოოპარკის ისტორიის“ თქვენებური ინტერპრეტაცია. ძალიან რთული სამუშაოს მიუხედავად, მსახიობები ახერხებდნენ ზუსტად გადმოეცათ პიესის აზრი, მისი პრობლემატიკა“.

თეატრმცოდნემ ირინე მეინერტემ გულახდილად მიანიჭა უპირატესობა „ზოოპარკის ისტორიის“ ჭიათურის თეატრის დადგმას მისთვის ცნობილ სხვა დადგმებთან შედარებით.

გაზეთ „მოლოდიოჟ ლატვიის“ ფურცლებზე დაიბეჭდა ინტერვიუ რეჟისორ ლევან სვანაძესთან და მსახიობ კუკური ყიფიანთან. სპექტაკლი უჩვენა ლატვიის ტელევიზიამ. ლ. სვანაძე აირჩიეს ცნობილი ლატვიელი ხელოვნის სმიგლერის მუზეუმის საბჭოს საპატიო წევრად.

ამაღლებული იყო გასტროლების ბოლო სპექტაკლის შემდეგ შეხვედრა ჭიათურასთან დაამობილებულ ქალაქ სიგულდის დელეგაციასთან. მათ ბევრი რამ გაიხსენეს 30 წლის მეგობრობის ისტორიიდან. სპექტაკლის ყველა წევრს გადასცეს სამახსოვრო სუვენირები და მიიწვიეს ქ. სიგულდაში. ეს შეხვედრა ლატვიელი და ქართველი ხალხის მეგობრობის მანიფესტაციად გადაიქცა.

ჭიათურის თეატრის პირველი საგასტროლო მოგზაურობა რიგაში ფეხბედნიერი გამოდგა. იგი მიწვეულია კაუნასსა და ვილნიუსში, ხოლო ზაფხულში ჭიათურელები კიევს ესტუმრებიან.

Ე ᲛᲐᲒᲘᲡ ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲐ, Ე ᲛᲐᲒᲘᲡ ᲡᲘᲪᲘᲪᲘᲚᲘ, ᲝᲛᲘᲡ ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠ ᲕᲐᲒᲘᲚᲘᲗᲘᲗ ᲡᲘᲪᲘᲪᲮᲚᲘᲗᲐᲜ ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲬᲐᲠᲓᲒᲘᲚᲘ

ᲖᲘᲐᲗᲣᲠᲐ (ხაკ. კორ.). საქართველოს თეატრალურ საზოგადოებასთან არსებული „მეგობრობის თეატრის“ ინიციატივით ჭიათურის სახელმწიფო თეატრი საგასტროლოდ იმყოფებოდა რიგაში.

თეატრის მთავარმა რეჟისორმა ლევან სვანაძემ საგასტროლოდ ამერიკელი დრამატურგის ედვარდ ოლბის პიესა „ზოოპარკის ისტორია“ აირჩია, რომელმაც წარმატებით ჩაადარა გამოცდა თბილისის ა. ხორავას სახელობის მსახიობის სახლში და თეატრალური ინსტიტუტის სასწავლო თეატრში.

რიგაში ჭიათურელთა სპექტაკლის შემდეგ იმპროვიზებულ პრეს-კონფერენციაზე ლატვიელმა თეატრმცოდნეებმა და კრიტიკოსებმა გამოთქვეს თავიანთი აზრი.

ლატვიის თეატრალურ მოღვაწეთა კავშირის თაოსნებმა ერის ცნობილ მოადგილემ გაიდა ბარისონემ აღნიშნა: „ძალიან კარგად ვიცნობ ოლბის დრამატურგიას და ჩემთვის სასიამოვნო მოულოდნელობა იყო „ზოოპარკის ისტორიის“ ჭიათურის თეატრის ინტერპრეტაცია.

ᲒᲐᲖᲗᲝᲕᲠᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲘ ᲓᲦᲔᲗᲐ

ᲒᲐᲠᲓᲐᲡᲣᲚᲘ ᲓᲦᲔᲗᲐ

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲓᲠᲝᲨᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲝᲡᲐᲜᲘ ᲡᲢᲐᲛᲑᲐ, ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ Ქ. 14, ᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲝᲤᲡᲔᲢᲣᲠᲘ ᲬᲔᲡᲘᲗ. ᲡᲐᲒᲐᲖᲗᲝ ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲘ, ᲮᲝᲨᲐᲠᲐᲣᲚᲘᲡ Ქ. 29.